პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი. № 27 (12235) | ხუთშაბათი, 1 თებერვალი, 1962 წ. | ფასი 2 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშენ მასალათა მრეწველობისა და სამშენებლო ინდუსტრიის მუშაკების რესპუბლიკური თათბირის მონაწილეთა ჯგუფი (მარცხნიდან მარჯვნივ): კომბინატ „საქენერგომშენის“ მებეტონეთა ბრიგადირი დ. ბერიშვილი, ქ. თბილისის № 3 საწარმოო კომბინატის შემდღელებელი ი. დოლიძე, ქ. ბათუმის მე-5 სამშენებლო ტრესტის მეარმატურეთა ბრიგადირი ნ. რუდაკოვი, რუსთავის ხისდამამუშავებელი კომბინატის ამწყობი ბ. ხვედელიძე, ქ. სოხუმის პირველი სამშენებლო სამმართველოს მეარმატურე ზ. კვიწინია.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ახალი შრომითი გამარჯვებებისათვის

საშენ მასალათა მრეწველობისა და სამშენებლო ინდუსტრიის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირის მონაწილეთა

მიმართვა

საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობისა და სამშენებლო ინდუსტრიის ყველა მუშას, ინჟინერ-ტექნიკურ და მეცნიერ მუშაკს, პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს

ძვირფასნო ამხანაგებო!

საბჭოთა ხალხი დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობით იბრძვის სკკპ XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, რომელმაც მიიღო კომუნისტური საზოგადოების აშენების დიდებული პროგრამა.

პარტიისა და საბჭოთა ხალხის მთავარი ეკონომიური ამოცანის გადაჭრაში — ორი ათწლეულის შანძილზე კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში დიდმნიშვნელოვანი როლი ეკუთვნით საშენ მასალათა მრეწველობისა და სამშენებლო ინდუსტრიის მუშაკებს, რომლებმაც მშენებლებთან ერთად უნდა შეასრულონ დიდი მოცულობის კაპიტალური სამუშაოები ჩვენს ქვეყანაში.

ამ გრანდიოზული პროგრამის განხორციელება მოითხოვს სამშენებლო ინდუსტრიისა და საშენ მასალათა მრეწველობის სწრაფ განვითარებასა და ტექნიკურ სრულყოფას იმ დონეზე, რომელიც უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებებს. „ვფიქრობ, ყველასათვის გასაგებია, — თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიაზე, — რომ თუ არ შეიქმნა მძლავრი სამშენებლო ინდუსტრია და არ განვითარდა საშენ მასალათა მრეწველობა, არ შეიძლება, ხაზს ვუსვამ, შეუძლებელია წარმატებით შესრულდეს ზვიდწლიანი გეგმით დასახული სამშენებლო სამუშაოების პროგრამა“.

ჩვენს რესპუბლიკაში უკანასკნელ წლებში ბევრი რამ გაკეთდა საშენ მასალათა მრეწველობისა და სამშენებლო ინდუსტრიის განვითარებისთვის. მარტო შვიდწლედის სამ წელიწადში საშენ მასალათა წარმოება გადიდდა 45 პროცენტით, აქედან ცემენტისა — 22 პროცენტით, შიფრისა — 45 პროცენტით, საკედლე მასალებისა — 30 პროცენტით, საშენი ნახვევრფიფრისა — 41 პროცენტით, მოსაპირკეთებელი ფილებისა — 21 პროცენტით და ასაწყობი რკინაბეტონისა — 50 პროცენტით და მეტად.

მრეწველობამ აითვისა ისეთ მთელ რიგ ახალ სახეობათა საშენი მასალებისა და ნაკეთობათა წარმოება, როგორიც არის სწრაფვამაგრებადი წიდაპორტლანდცემენტი, ფიბროლიტი, მინერალური ბამბა, დიდმალიანი წინასწარ დაძაბული რკინაბეტონის კოჭი — ფორმები, ამუშავდა სახლსამშენებლო კომბინატები.

გარკვეული მუშაობა შესრულდა ახალი ტექნიკის, მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვისა და შრომატევადი პროცესების მექანიზაციისათვის.

სახელმწიფო გეგმების ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლის ავანგარდში არიან ჩვენი სახელოვანი მოწინავეები — წარმოების შუქურები, კომუნისტური შრომის ბრიგადირები და დამკვრელები, გამომგონებლები და რაციონალიზატორები.

რესპუბლიკური თათბირის მონაწილეებმა შეაჯამეს საშენ მასალათა მრეწველობისა და სამშენებლო ინდუსტრიის მუშაობის შედეგები. თათბირზე გამოვლინდა სერიოზული ნაკლოვანებანი იმ საწარმოთა მუშაობაში, რომლებიც საშენ მასალებსა და ნაკეთობებს უშვებენ, ინერტული მასალების მოპოვებისა და გადამუშავების სამრეწველო მშენებლობისათვის წინასწარ დაძაბული რკინაბეტონის კონსტრუქციათა გამოშვების ორგანიზაციაში. შეუწყნარებლად ჭიანურდება ახალ საწარმოო სიმძლავრეთა ამუშავება.

ჩვენ განვიხილეთ, თუ როგორ განვახორციელოთ უკეთ პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული კაპიტალური მშენებლობის დიდებული პროგრამა რესპუბლიკაში.

საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკებმა უფრო სწრაფად უნდა გაადიდონ საწარმოთა საწარმოო სიმძლავრეები, მნიშვნელოვნად გაზარდონ არამადნეული მასალების მოპოვება და მკვეთრად გაუმჯობესონ მათი ხარისხი.

მშენებლობის შემდგომი ინდუსტრიალიზაციის მთავარი ამოცანა უნდა იყოს ასაწყობი რკინაბეტონის და, უწინარეს ყოვლისა, დიდანელილინი, დიდი ზომისა და წინასწარ დაძაბული კონსტრუქციების გამოშვების ყოველი ღონისძიებით გაფართოება.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სპეციალურად სამრეწველო მშენებლობისათვის ასაწყობი რკინაბეტონის გამოშვების წარმოების ორგანიზაციას.

მაგრამ ამოცანები საშენ მასალათა მრეწველობის შემდგომი აღმავლობის დარგში არ შეიძლება მხოლოდ ამა თუ იმ სახეობის პროდუქციის წარმოების მოცულობის გადიდებით ამოიწუროს. საჭიროა ძირეული თვისებრივი ცვლილებები ჩვენი მშენებლობის საწარმოო ბაზის განვითარებაში. ამისათვის, რომ შეექმნათ სამრეწველო კომპლექსები, საცხოვრებელი სახლები, საზოგადოებრივი დანიშნულების შენობები და ნაგებობანი, რომლებიც შეესაბამებიან კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ეპოქის მაღალ მოთხოვნებს, საჭიროა ახალი ინდუსტრიული მასალები, რომელთა გამოყენება შესაძლებელს გახდის მაქსიმალურად შემცირდეს შენობათა და ნაგებობათა წონა, გადიდდეს მათი გამძლეობა, საეკსპლოატაციო ხარისხი და არქიტექტურული ღირსებანი.

უნდა განხორციელდეს სერიოზული ღონისძიებანი საშენ მასალათა მრეწველობის და სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოთა ხელახალი ტექნიკური შეიარაღებისათვის, საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის, ტექნოლოგიის სრულყოფისათვის.

ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენი ქვეყანა შვიდწლედის მეოთხე წელში შევიდა. რესპუბლიკის მრეწველობამ, სოფლის მეურნეობამ, სამშენებლო ორგანიზაციებმა დიდი მნიშვნელობის ამოცანები უნდა გადაჭრან.

ჩვენ მოვუწოდებთ რესპუბლიკის საშენ მასალათა მრეწველობისა და სამშენებლო ინდუსტრიის ყველა მუშას, ინჟინერ-ტექნიკურ და მეცნიერ მუშაკს, ყველა პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციას გადაჭრით გაუმჯობესონ ხელმძღვანელობა საშენ მასალათა მრეწველობის და სამშენებლო ინდუსტრიის განვითარებისადმი, გაადიდონ პასუხისმგებლობა საწარმოო დავალებათა შესრულებისათვის, გაუმჯობესონ წარმოების კულტურა, მიაღწიონ საწარმოთა არსებული სიმძლავრეების სრულ გამოყენებას, გააძლიერონ ბრძოლა თვითღირებულების შემცირებისათვის. მუშაობა უნდა წარმოებდეს დევიზით: გამოვუშვათ მხოლოდ საუკეთესო ხარისხის ნაკეთობანი და საშენი მასალები!

საშენ მასალათა მრეწველობისა და სამშენებლო ინდუსტრიის მუშაკთა წინაშე 1962 წელს დგას ამოცანა — უზრუნველყონ 875 ათასი კუბური მეტრი ასაწყობი რკინაბეტონის ნაკეთობათა და კონსტრუქციათა, 55 მილიონი პირობითი ცალი შიფრის, 1.270 ათასი ტონა ცემენტის, 200 ათასი ტონა კირის, 44 ათასი კუბური მეტრი მინერალური ბამბის გამოშვება, დამაზადონ 8 მილიონი კუბური მეტრი ინერტული მასალები და სხვ.

თათბირის მონაწილენი მოწოდებენ კიდევ უფრო ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება ზვიდწლიანი გეგმის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის.

ახალი შრომითი გამარჯვებებისათვის, სკკპ XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის!

საკავშირო შუქურა

მოსკოვი, 30 იანვარი. (საკდესი). ზვიდ მილიონზე მეტი დამთვალიერებელი, 50 ათასზე მეტი ახალი ექსპონატი— ასეთია ყველაზე მეტყველი ციფრები, რომლებიც ახასიათებენ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის შარშანდელ მუშაობას. დღეს შეოკრიბა გამოფენის საბჭო.

დიდი ინტერესი გამოიწვია კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების მანქანებისა და ხელსაწყოების გამოფენამ. გარდა საუკეთესო ნიმუშებისა, ამ გამოფენაზე იყო ნარჩენები მოძველებული ნაწარმიც, რომელსაც ჯერ კიდევ უშვებს მრეწველობა. ამის შედეგად დაისახა ღონისძიებანი ფართო მოხმარების საგნების ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესებისა და წარმოების გადიდებისათვის.

სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მუშაობაში არის ნაკლოვანებებიც. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა საკოორდინაციო სახელმწიფო კომიტეტის გადაწყვეტილებაში და ცენტრალური გაზეთის ფურცლებზე აღინიშნა, რომ გამოფენა ჯერ კიდევ მთლიანად ვერ იყენებს თავის შესაძლებლობებს სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევათა დასანერგავად.

31 იანვარს საბჭო განაგრძობს მუშაობას.

შრომით შევქმნით

პროდუქციის სიუხვეს

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესასწავლად

ორჯერ მეტი...

მაიაკოვსკი. (საკ. კორ.). რაიონის მევენახეები მაქსიმალურად იყენებენ ახლანდელი ზამთრის ხელსაყრელ ამინდებს და აქედანვე უყრიან საფუძველს ყურძნის უხვ მოსავალს.

საკოლმეურნეო ზვრებში შრომის ცეცხლი ანთია. რიგთა შორის ხვნა ჩატარებულია 460 ჰექტარზე, ვაზის ძირების გამობარვა ორგანული და მინერალური სასუქების შეტანით — 350 ჰექტარზე. დამზადებულია ნახევარ მილიონამდე ცალი ჭიგო, დაპლანტაჟებულია ასი ჰექტარი მიწა ახალი ვენახის გასაშენებლად. საგულისხმოა, რომ დღეისათვის ვენახებში საზამთრო სამუშაოები შესრულებულია ორჯერ მეტ ფართობზე, ვიდრე შარშან.

დაწინაურდა დაბა მაიაკოვსკის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ა. კიკნაველიძე), რომელმაც 101 ჰექტარ ვენახში თითქმის ყველა სამუშაო დაამთავრა. ახლა აქ ჭიგოს დამზადებასა და შპალერის რემონტზე მუშაობენ.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის შესასწავლად ემზადებიან და ვენახებს სანიმუშოდ უვლიან აგრეთვე სოფელ დიმის კალინინის სახელობის, ამავე სოფლის სვერდლოვის სახელობის, როსის ლენინის სახელობისა და წითელსოფლის ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობებში.

ჩემი ახალი ვალდებულება

ბოლავანი. სეზონისათვის გულმოდგინედ ვემზადები, ყოველგვარ საფუძველს ვქმნი ჩაის ბუჩქების ნორმალური ვეგეტაციისათვის. დავამთავრე ყველაფერი ტრაქტორ არხების გაყვანა, გადაბარვა, კალიუმისა და ფოსფოროვანი სასუქების შეტანა.

ცნობა იმის შესახებ, რომ მარტში გაიმართება სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც უნდა განიხილოს სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის მნიშვნელოვანი საკითხები, აღმაფრთოვანებს კიდევ უფრო ნაყოფიერი შრომისათვის. პირობას ვიძლევი წელს მოგკრიფო 8.000 კილოგრამზე მეტი ჩაის ფოთოლი.

ბული ძვარცხავა,
ცხაკაიას რაიონის ეკის კოლმეურნეობის მეჩაიე.

ზვრების სიმდიდრე

ქარდანახის საბჭოთა მეურნეობის მევენახეობის მერვე აგროუბნის მუშებმა მეურნეობის ზვრებს 78 ათასი ძირი ვაზი შემატეს გადაწვენით.

ვაზის გადაწვენის საქმეში გამოირჩევიან ძმები არტო და იოსებ ფიროსმანიშვილები, გიორგი ხელაშველი, გიორგი კოტრკაძელი, ხვთისო ხვთისიაშვილი და სხვები. თვითეულს გადაწვენილი აქვს 2.000-2.100 ძირი ვაზი.

უბნის კოლექტივმა გადაწყვიტა სანიმუშოდ მოუარეს გადაწვენილ ვაზს, მაღალხარისხოვნად ჩაატაროს ვენახებში ყველა სახის სამუშაო და ახალი წარმატებით შეხვდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმს.

ბ. ფუავაშვილი.

ახალი მანქანის დაგადება

ცხინვალი. (საკ. კორ.). ცხინვალის ელექტროგიგრარაციული ქარხნის საკონსტრუქტორო ბიურომ და მოსკოვის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა „ბიპროუგლეავტომატიზაციამ“ შეიმუშავეს ახალი ტიპის ორკილოგატიანი ელექტროვიგრომანქანა „ეიპ-100“, რომლის საქარხნო შემოწმებამ და გამოცდამ წარმატებით ჩაიარა.

ეს მანქანა გათვალისწინებულია ქვანახშირის საბადოებისათვის, სადაც სამუშაო პროცესი დაკავშირებულია აფეთქებათა საშიშროებასთან.

„ეიპ-100“-ს ელექტროვიგრომანქანის წარმადობა საათში 100 ტონას შეადგენს. სამრეწველო გამოცდის შემდეგ ამ მანქანის სერიულ გამოშვებას დაიწყებს ცხინვალის ელექტროვიგრაციული მანქანების ქარხანა.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების გამგეების სრულიად საკავშირო თათბირი

მოსკოვი, 31 იანვარი. (საკდესი). დღეს კრემლის დიდ ნანახლეში გრძელდება უმაღლესი სასწავლებლების საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების გამგეების სრულიად საკავშირო თათბირი.

დღევანდელ პლენარულ სხდომაზე დაიწყო განხილვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის მ. ა. სუსლოვის მოხსენებისა — „სკკპ XXII ყრილობა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების ამოცანები“.

პირველი კამათში გამოვიდა პროფესორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის კათედრის გამგე დ. ი. ჩესნოკოვი.



სამეცნიერო საზოგადოების ფორუმზე

ქალაქ თბილისში, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სხდომათა დარბაზში, შედგა სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების მეორე პლენუმი.

პლენუმზე მოხსენებით „სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებანი და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების ამოცანები“ — გამოვიდა საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობის თავმჯდომარე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი გ. ბადრიშვილი.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ე. როინიშვილმა, მ. გუგუშვილმა, ა. ნატროშვილმა, ა. ბაღათურიამ და სხვებმა.

სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების მეორე პლენუმმა მიიღო დადგენილება, სადაც ნაჩვენებია ის გზები, რომლებითაც უნდა გამოსწორდეს საზოგადოების საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებები.

ფართოეკრანიანი კინოთეატრი

ტყვარჩელი. (საკ. კორ.). მეშახტეთა ქალაქში კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა რიცხვი მატულობს. ამას წინათ მეშახტეთა დაბა ჯანტუხაში საეკსპლოატაციოდ გადაეცა ახალი ფართოეკრანიანი კინოთეატრი, რომელიც 300-ზე მეტ კაცს იტევს.

ქანდარმერიის 30 ასეული დემაცტვით — პარიზში

პარიზი, 31 იანვარი. (საკდესი). საფრანგეთის დედაქალაქის პოლიციის პრეფექტის განკარგულებაში დამატებით გადაეცა მოტორიზებული ჟანდარმერიის 30 ასეული (დაახლოებით 4.200 კაცი) პარიზსა და პარიზის რაიონში „წესრიგის დასაცავად“.

ამ ჟანდარმებს გამოიყენებენ ქუჩის დემონსტრაციების შემთხვევაში და პოლიციელთა სხვადასხვა ოპერაციებში, იუწყება ფრანს პრესის სააგენტო.

შვიდწლედის ზღუდეებისაკენ

რკინიგზელებმა გადამარბეგით შეასრულეს დატვირთვის გეგმა

ამიერკავკასიის რკინიგზის მშრომელებმა, რომლებიც მონაწილეობენ სკკპ ისტორიული XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის საყოველთაო სახალხო ბრძოლაში და ჩაებნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავ შეჯიბრებაში, მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს. მათ ვადამდე შეასრულეს ვაგონების დატვირთვისა და სახალხო-სამეურნეო ტვირთის გადაზიდვის იანვრის გეგმა.

შრომის ნაყოფიერების გაზრდაში გადამწყვეტი როლი შეასრულა კომუნისტური შრომისათვის შესანიშნავმა მოძრაობამ, რომელსაც სულ უფრო ფართო გაქანება ეძლევა. ახლა ამ მოძრაობაში ამიერკავკასიის რკინიგზაზე მონაწილეობს 23 ათასზე მეტი რკინიგზელი. (საკდესი).

კენედის წერილი კონგრესისადმი

ვაშინგტონი, 31 იანვარი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა კენედიმ თხოვნით მიმართა გუშინ კონგრესს გამოიყოს ასი მილიონი დოლარი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ობლიგაციების შესაძენად, რათა შეამსუბუქოს ამ ორგანიზაციის ფინანსური სიძნელეები და ამით „ხელი შეუწყოს შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკას“.

ფინანსური კრიზისი, რომელსაც ახლა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია განიცდის, უპირველეს ყოვლისა კონგოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების შესანახი ვეებერთელა ხარჯების შედეგია, რომელთა საქმიანობა, როგორც ეს არაერთხელ აღუნიშნავთ გენერალური ასამბლეისა და უშშროეთის საბჭოს სხდომებზე, ეწინააღმდეგება დირექტივებსა და ამოცანებს, რომლებიც მთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ დააკისრა.

შეერთებული შტატები მთლიანად და სავსებით უპირველ მხარს კონგოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების გამოყენებას, რადგან იგი შეესაბამება ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური წრეების ინტერესებს, რომლებიც დაინტერესებული არიან ამ ქვეყანაში უცხოეთის მონოპოლიების ინტერესების შენარჩუნებით და იმით, რომ არ დაუშვან კონგო გახდეს ნამდვილი თავისუფალი და დამოუკიდებელი ქვეყანა.

ინდოეთის საათის

ი. გაგარინი კაიროში

კაირო, 31 იანვარი. (საკდესი). საბჭოთა კოსმონავტი ი. ა. გაგარინი გუშინ საღამოს გამოვიდა კაიროს ტელევიზიით.

ი. ა. გაგარინმა გულითადი მადლობა გადაუხადა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობასა და ხალხს იმისათვის, რომ თავაზიანად მოიწვიეს იგი სტუმრებოდა მათს ქვეყანას, და იმ გულთბილი მიღებისათვის, რომელსაც უწევენ მას და მის თანმხლებ პირებს.

საბჭოთა კოსმონავტი დღეს კაიროში იქნება და გაეცნობა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის დედაქალაქის ღირსშესანიშნაობებს.

სასამართლო პროვოკაცია

ბერლინი, 31 იანვარი. (საკდესი). როგორც ადნის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება დიუსელდორფიდან, გუშინ, ფაშისტთა მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების 29-ე წლისთავის დღეს, დორტმუნდის სასამართლოში დაიწყო ანტიფაშისტ ელფრიდა ლედვონის პროცესი. მას ბრალად სდებენ, რომ, იყო რა დასავლეთ გერმანიის ქალთა დემოკრატიული კავშირის გამგეობის წევრი, მან „ზიანი მიაყენა“ დასავლეთ გერმანიის სახელმწიფოს.

ელფრიდა ლედვონმა, რომელიც, ისევე როგორც მისი ქმარი იოზეფ ლედვონი, სასტიკ დევნას განიცდიდა ჯერ კიდევ ფაშიზმის დროს, სასამართლოში განაცხადა: „ჩემი პოლიტიკური საქმიანობით ვცდილობდი დემოკრატიისა და მშვიდობის განმტკიცებას გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, მე ვიბრძოდი კონსტიტუციური წყობილების საფუძვლებისათვის“.

კვლავ გადაიდო...

ნიუ-იორკი, 31 იანვარი. (საკდესი). შეერთებულმა შტატებმა კვლავ გადაიტანეს ვადა დედამიწის გარშემო ორბიტაზე პირველი ამერიკული კოსმოსური ხომალდის გაშვებისა, რომელიც ადამიანი იქნება. ამერიკის საინფორმაციო საგაზეთოთა ცნობებით, აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნულმა სამმართველომ გუშინ გამოაცხადა, რომ რაკეტული სისტემის ტექნიკური უწესიერობის გამო „ფრენდშიპ 7“ ხომალდის გაშვების ცდა, რომელიც წარმატებით არ დაგვირგვინდა გასულ შაბათს, განმეორდებოდა უკვე ამ კვირაში — 1 ან 2 თებერვალს ამინდის შესაბამისად.

საგაზეთოები აღნიშნავენ, რომ 1961 წლის 20 დეკემბრიდან, როცა თავდაპირველად გათვალისწინებული იყო გაშვება კოსმოსური ხომალდისა, რომელიც ადამიანი იქნებოდა, გაშვება უკვე მეექვსეჯერ გადადეს.

ყური დავუგდოთ მომხმარებელს

ვაჭრობის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი

როგორც მოხსენებაში, ისე კამათის მონაწილე ამხანაგების გამოსვლებში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ ამჟამად ვაჭრობის მუშაკების საპატიო და გადაუდებელი ამოცანაა დაუღალავად ებრძოლონ სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, რომლებშიც მკაფიოდ და ნათლად არის განსაზღვრული საბჭოთა ვაჭრობის გაუმჯობესების გზები. თათბირზე აღინიშნა, რომ უკანასკნელ ხანს რესპუბლიკაში ბევრი რამ გაკეთდა ვაჭრობის გასაუმჯობესებლად. ბევრმა სავაჭრო ორგანიზაციამ ვადამდე შეასრულა საცალო ბრუნვა. გაიხსნა 210 სპეციალიზებული მაღაზია, 38 სასაუზმე-ავტომატი, ნახევარფაბრიკატებისა და კულინარული ნაწარმის 59 მაღაზია, 9 საოჯახო სამზარეულო, საზოგადოებრივი კვების 165 ობიექტზე შემოღებულია შემდგომი ანაზღაურების მეთოდი.

თათბირზე ბევრი ითქვა აგრეთვე ნაკლოვანებებზე. სავაჭრო საწარმოებში ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის მოწყობილი რეკლამა. ზოგიერთ მაღაზიაში არის შეფერხება ყოველდღიური მოთხოვნის საქონლით ვაჭრობაში. ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა სასოფლო მაღაზიებში. სათანადო ყურადღება არ ეთმობა ვაჭრობის გაფართოებას ქალაქების გარეუბნებში, ვაჭრობის დონე ჩამორჩება მოთხოვნილებას მოსახლეობის მასობრივი დასახლების ადგილებში.

თათბირის მონაწილეებმა დასახეს მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი, იკისრეს ახალი გაზრდილი ვალდებულებები და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს სომხეთისა და აზერბაიჯანის მოძმე რესპუბლიკების ვაჭრობის მუშაკები.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. სტალიძემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარემ ო. გოცირიძემ, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანმა ს. ჩხარტიშვილმა,

ძერძენსკის სახელობის კლუბში თავი მოიყარეს ვაჭრობის მუშაკებმა. აქ შედგა სახელმწიფო ვაჭრობის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი.

ვრცელი მოხსენებით — რესპუბლიკის სავაჭრო ორგანიზაციების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შედეგები და 1962 წლის ამოცანები სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით — გამოვიდა საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი მ. ღვინჯილია.

კამათში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ვაჭრობის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილემ მ. ლინეცკიმ, აფხაზეთის ასსრ ვაჭრობის მინისტრმა ვ. მარღანიამ, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს უფროსის მოადგილემ პ. ჯუხაძემ, „საქსოვილეაჭრობის“ რესპუბლიკური ბაზის მმართველმა ვ. კოტლიაროვამ, „ორეაჭრობის“ № 3 მაღაზიის უფროსმა გამყიდველმა პ. რუსიშვილმა, აჭარის ასსრ ვაჭრობის მინისტრის მოადგილემ ი. აბულაძემ, სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. კიკვაძემ და სხვებმა.

თათბირზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზ. კვაჭაძე.

უფრო მაღალ დონეზე ავიყვანოთ საშენ მასალათა წარმოება და სამშენებლო საქმე

საშენ მასალათა მრეწველობისა და სამშენებლო ინდუსტრიის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი

საქართველოში მზარდი მასშტაბით წარმოებს სამრეწველო, ენერგეტიკული, სატრანსპორტო, სასოფლო-სამეურნეო მშენებლობა. დიდ აღმშენებლობითს მუშაობაში, რაც ჩვენს რესპუბლიკაში ხორციელდება, დიდმნიშვნელოვანი როლი ეკუთვნით საშენ მასალათა მრეწველობისა და სამშენებლო ინდუსტრიის მუშაკთა.

30 იანვარს გაიმართა სახალხო მეურნეობის ამ დარგის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სამშენებლო ორგანიზაციებთან ერთად. თათბირმა მოისმინა და განიხილა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ბ. ა. გეგეშიძის მოხსენება საქართველოს სსრ რესპუბლიკის საშენ მასალათა მრეწველობისა და სამშენებლო ინდუსტრიის მდგომარეობასა და მისი შემდგომი განვითარების ღონისძიებებზე სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით.

ამხანაგ ბ. ა. გეგეშიძის მოხსენება

სკკპ ისტორიული XXII ყრილობა, თქვა ამხ. გეგეშიძემ, — შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებულია შესრულდეს ორ მილიარდ მანეთისაზე მეტი მოცულობის სამუშაოები, აქედან დაახლოებით მილიარდ სამასი მილიონი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები. ამავე პერიოდში გათვალისწინებულია საექსპლოატაციოდ გადაეცეს ოთხ მილიონზე მეტი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები.

გრანდიოზული ამოცანები კაპიტალური მშენებლობის დარგში, რომლებიც უნდა გადაჭრას ჩვენმა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით უახლოეს ოცწლეულში, შეუძლებელია განხორციელდეს, თუ შემდგომ არ განვითარდა სამენ მასალათა მრეწველობა და სამშენებლო ინდუსტრია.

„კაპიტალური მშენებლობის უდიდესი მასშტაბები, — ნათქვამია სკკპ პროგრამაში, — მოითხოვენ სამშენებლო ინდუსტრიისა და საშენი მასალების მრეწველობის სწრაფ განვითარებას და ტექნიკურ სრულყოფას იმ დონემდე, რომელიც უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებებს, მოითხოვენ მშენებლობის ვადების მაქსიმალურად შემოკლებას, ღირებულების შემცირებას და ხარისხის გაუმჯობესებას იმ გზით, რომ თანმიმდევრობით განხორციელდეს მისი ინდუსტრიალიზაცია, რაც შეიძლება მალე დამთავრდეს დიდი ზომის კონსტრუქციებისა და სამრეწველო წარმოების ელემენტებისაგან ტიპური პროექტებით სრულასაწყობი შენობებისა და ნაგებობების მშენებლობაზე გადასვლა".

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო არაერთხელ მიუთითებდნენ პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ყურადღებას იმაზე, რომ უნდა გაძლიერდეს ზრუნვა და ყურადღება სამშენებლო ინდუსტრიისა და საშენ მასალათა მრეწველობის შემდგომი აღმავლობის საკითხებისადმი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს V სესიაზე ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა თქვა, რომ „თუ არ შეიქმნა მძლავრი სამშენებლო ინდუსტრია და არ განვითარდა საშენ მასალათა მრეწველობა, არ შეიძლება, ხაზს ვუსვამ, შეუძლებელია წარმატებით შესრულდეს შვიდწლიანი გეგმით დასახული სამშენებლო სამუშაოების პროგრამა".

ამ უკანასკნელ წლებში მშენებლობის საწარმოო ბაზის განვითარების საკითხები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ყურადღების ცენტრში იყო. როგორც ცნობილია, 1960 წლის პირველ ნახევარში მიღებული იყო დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკაში საშენ მასალათა მრეწველობისა და სამშენებლო ინდუსტრიის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ", რომელშიც მოცემულია ჩვენს რესპუბლიკაში უმნიშვნელოვანესი სამენი მასალების, კონსტრუქციებისა და ნაკეთობათა წარმოების გაფართოების ფართე პროგრამა.

დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ სახალხო მეურნეობის საბჭოს, მშენებლობის სამინისტროს და მთავართბილისმშენის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა საშენ მასალათა წარმოებისა და სამშენებლო ინდუსტრიის სამძლავრეთა შექმნა იმ ოდენობით, რომელიც უზრუველყოფს მრეწველობის ამ დარგების უფრო სწრაფ ზრდას სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობის ზრდის საერთო ტემპებთან შედარებით.

ამასთან დაკავშირებით, უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში კაპიტალურმა დაბანდებამ მრეწველობის ამ დარგში შეადგინა 48,5 მილიონი მანეთი და წინა სამ წელთან შედარებით ერთიორად და მეტად გაიზარდა. ამან შესაძლებელი გახადა საშენ მასალათა წარმოებისა და სამშენებლო ინდუსტრიის ზრდის ტემპების მნიშვნელოვნად დაჩქარება, ახალი სიმძლავრეების ამოქმედება და ზოგიერთი ახალი სახეობის მასალებისა და კონსტრუქციების წარმოების ათვისება.

საშენ მასალათა მრეწველობისა და სამშენებლო ინდუსტრიის საერთო პროდუქციის მოცულობამ 1961 წელს მიაღწია 65 მილიონ მანეთს ფასებში, 1958 წლის დონეს, მაშინ როცა რესპუბლიკის მთელი მრეწველობის პროდუქციის მოცულობის საერთო ზრდა იმავე პერიოდში შეადგენდა 19 პროცენტს.

შვიდწლეულის სამი წლის განმავლობაში ამუშავდა საკუდლე მასალების წარმოების ახალი სიმძლავრეები, რომელთა წარმადობა წელიწადში ეფარდება 106 მილიონ ცალ პირობით აგურს, 163 ათას კუბურ მეტრ ასაწყობ რკინაბეტონს, 240 ათას კუბურ მეტრ ინერტულ მასალებს, 170 ტონა ცემენტს, 16 მილიონ ცალ პირობით ფილა შიფერს, 105 ათას კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის დიდპანელიანი სახლმშენებლობის კონსტრუქციებს.

ათვისებულია მთელ რიგ ახალ სახეობათა სამენი მასალებისა და კონსტრუქციების — სწრაფგამაგრებადი წიდა—პორტლანდცემენტის, ფიბროლიტ.ს, მინერალური ბამბის, წინასწარ დაძაბული რკინაბეტონის დიდმალიანი კოჭების, დიდი პანელებისა და სხვა ნაკეთობათა წარმოება.

საშენ მასალათა მრეწველობაში მიმდინარეობს. გარკვეული მუშაობა ახალი ტექნიკის, მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვისათვის, მოწყობილობის მოდერნიზაციისა და სრულყოფისათვის. რუსთავის ცემენტის ქარხანაში ავტომატიზებულია ცემენტის წისქვილების ჩატვირთვა, თბილისის კერამიკული კომბინატის ღუმელებში გამოყენებულია ტემპერატურის ავტომატური რეგულირება. საშენ მასალათა მრეწველობის სამართველოს მეტ წილ აგურის ქარხნებში შეცვლილია მოძველებული წნეხები. მშენებლობის სამინისტროს ასაწყობი რკინაბეტონის საწარმოებში წარმატებით იყენებენ ელექტროგახურების მეთოდით წინასწარდაძაბულ არმატურას, საორთქლავი კამერების გაუმჯობესება ხდება პროფესორ სემიონოვის მეთოდით, რაც შესაძლებელს ხდის ნაკეთობათა დამუშავების ვადების 30 პროცენტით შემცირებას.

ყოველივე ამან შესაძლებლობა მოგვცა მნიშვნელოვნად გაგვეიდიდებინა ზოგიერთ ძირითად სახეობათა საშენი მასალებისა და ნაკეთობების გამოშვება. საკმარისია ითქვას, რომ გასულ წელს ცემენტის წარმოებამ რესპუბლიკაში მიაღწია ერთ მილიონ სამასი ათას ტონას, ესე იგი უკვე 1961 წლის დამლევს გადაჭარბებული იყო ცემენტის წარმოების დონე, რომელიც სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმის საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებულია 1965 წლისათვის. მარტო 1961 წელს გეგმის გადამეტებით გამომშვებულია ათეულ ათასობით ტონა ცემენტი, შვიდი ათას ცალზე მეტი სამშენებლო ნახევარფაიფური, 16 ათასი კვადრატული მეტრი მეტლახის ფილები, 19 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი კერამიკული მოსაპირკეთებელი ფილები, ბევრი სხვა სახეობის საშენი მასალები და ნაკეთობანი.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საშენ მასალათა მრეწველობის სამმართველოს ბევრმა საწარმომ უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესა მუშაობა, აღსანიშნავია რუსთავის ცემენტის ქარხნის კოლექტივის წარმატებით მუშაობა. ეს საწარმო სისტემატიურად გადაჭარბებით ასრულებს საწარმოო დავალებებს, აუმჯობესებს ტექნიკურ-ეკონომიურ მაჩვენებლებს. მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების ინიციატივით მოეწყო ფიბროლიტისა და წიდა-ცემენტის კრამიტის წარმოება.

მუშაობაში კარგი მაჩვენებლები მოიპოვეს თბილისის კერამიკული კომბინატის, თიბისის ტუფის საწარმოს, კავთისხევის საკარიერო სამმართველოს და სხვა კოლექტივებმა.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ საშენ მასალათა მრეწველობისა და სამშენებლო ინდუსტრიის ეს წარმატებანი მიღწეულია მეორეხარ ხელოვნური, ინჟინერებისა და ტექნიკოსების თავდადებული შრომით, მნიშვნელი საქმისადმი ინიციატიანი დამოკიდებულების მეოხებით. მას მოჰყავს წარმოების ნოვატორთა სახელები.

ერთგვარ წარმატებებთან ერთად, — ამბობს ამხ. გეგეშიძე, — ჩვენ ბევრი ნაკლი გვაქვს. საშენ მასალათა მრეწველობის განვითარება ჩამორჩება დღეკანდელი დღის მოთხოვნებს, აფერხებს კაპიტალურ მშენებლობას, წარმოადგენს მთელი რიგი სამშენებლო ორგანიზაციების მიერ სამშენებლო სამუშაოთა გეგმის შეუსრულებლობას, მშენებლობის გაძვირებისა და ვადების გაგრძელების ძირითად მიზეზს.

უმნიშვნელოვანესი სამშენებლო მასალებისა და სამშენებლო ინდუსტრიის პროდუქციის გამოშვების 1961 წლის გეგმა შეუსრულებელი აღმოჩნდა. მაგალითად, აგურის გამოშვების დავალება ეფარდებოდა 92,4 პროცენტით, მიფერისა — 90,1 პროცენტით, რბილი სახურავისა — 91,2 პროცენტით, მინერალური ბამბისა — 6,3 პროცენტით, ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციების და დეტალებისა — 96,5 პროცენტით, მათ შორის წინასწარ დაძაბვით არმირებულისა — 56 პროცენტით, საკუდლი პანელებისა — 17,2 პროცენტით და სხვ. ვერ შესრულდა აგრეთვე კრამიტისა და კირის გამოშვების გეგმები.

რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციები შარშან განიცდიდნენ ღორღის, ხრეშის, ქვიშის ნაკლებობას, ხოლო გამოდიდებულ და დაფრაქციებულ ინერტულ მასალებს ისეთი მცირე რაოდენობით უშვებდნენ, რომ არსებითად ისინი მომზმარებლამდე ვერ აღწევდა. მნიშვნელოვანი რაოდენობით დაიკლეს მშენებლობას აგური, ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები და დეტალები, მიფერი, რბილი სახურავი.

საშენი მასალების აღნიშნულ სახეობათა მიხედვით პროდუქციის გამოშვების გეგმები ვერ შესრულეს ვერც საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საშენ მასალათა მრეწველობის სამმართველომ, ვერც ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს საწარმოებმა.

1961 წლის გეგმის შესრულებას თავი ვერ გაართვეს მშენებლობის სამინისტროს და მთავართბილისმშენის საწარმოებმა, რომლებშიც ძირითადად თავმოყრილია ასაწყობი რკინაბეტონის ნაკეთობებისა და კონსტრუქციების წარმოება.

მომხსენებელი შეეხო ინერტული მასალების წარმოების გაუმჯობესების საკითხებს. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მთელი რიგი დადგენილებები ღორღის წარმოების, ქვიშისა და ხრეშის მოპოვების ორგანიზაციის საკითხების შესახებ, სახალხო მეურნეობის საბჭო და მის ხაშენ მასალათა მრეწველობის სამმართველო არ იღებენ მათზე დამოკიდებულ ყველა ღონისძიებას ამ ამოცანის გადასაჭრელად. არ შეიძლება ნორმალურად მივიჩნიოთ, რომ მოპოვებულ შემესვლთა საერთო მოცულობიდან საშენ მასალათა მრეწველობის სპეციალიზებული სამმართველოს წილად მოდის მხოლოდ 300 ათასი კუბური მეტრი, ანუ 11,5 პროცენტი, დანარჩენი ქვიშა და ხრეში თვით სამშენებლო ორგანიზაციებს მოუპოვებიათ კარიერებში, რომელსაც მასალების გასარეცხი და დასახარისხებელი სრულიად ელემენტარული მოწყობილობაც კი არა აქვთ.

1961 წელს დამზადებული ინერტული მასალების საერთო რაოდენობიდან — 2 მილიონ 646 ათას კუბურ მეტრიდან გამდიდრებული მასალა დამზადებული იყო მხოლოდ 138 ათასი კუბური მეტრი, ანუ 5 პროცენტი.

მშენებლობის ახლანდელი მასშტაბის, მისი ფართო ინდუსტრიალიზაციის დროს სრულიად შეუწყნარებელია მამაპაპური მეთოდებით კამზადებდეთ ბეტონებსა და ხსნარებს გაუმდიდრებელი ინერტული მასალებისაგან, რომლებიც მოპოვებულია უახლოესი მდინარის ნოყიერში.

საშენ მასალათა მრეწველობის სამმართველოს მუშაკებმა უნდა იცოდნენ, რომ ასაწყობი რკინაბეტონის ქარხნები დამზადება მოითხოვს დაფრაქციებული ქვიშისა და ღორღის გამოყენებას, სამშენებლო ინდუსტრიას ესაჭიროება კონდიციური ინერტული შემავსებლები და არა მიწასთან შერეული ბალასტი.

მიუხედავად გამდიდრებული ინერტული მასალის წარმოების ასეთი მდგომარეობისა, საწარმოთა კარიერების მშენებლობაზე გამოყოფილი სახსრების ათვისებას წლითი-წლობით ვერ უზრუნველყოფენ, მათი ოგება ჭიანურდება. მაგალითად, აგურის ქარხნის მშენებლობის ისტორია შეიძლება მაგალითი იყოს ამ საქმისადმი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს და მშენებლობის სამინისტროს უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისა. მრავალი დაირქმის მიუხედავად, ჩვენი რესპუბლიკისათვის ამ უაღრესად საჭიროა საწარმოს ამუშავება, რაც დასახული იყო 1959 წელს, დღესაც არ განხორციელებულა. თუ მარნეულის ქარხანა, რომლის სიმძლავრეა წელიწადში 400 ათასი კუბური მეტრი დაფრაქციებული ღორღი, მიმდინარე წლის მეორე კვარტალში არ ამუშავდა, არავითარი დაპირება მხედველობაში არ იქნება მიღებული. ახალმა საწარმომ სამშენებლო ინდუსტრიას წელს უნდა მისცეს 200 ათასი კუბური მეტრი დაფრაქციებული ღორღი.

სახელმწიფო საგეგმო კომისიამ, სახალხო მეურნეობის საბჭომ, სახმშენმა უნდა განიხილონ საკითხი 1963 წელს გამდიდრებული მასალების წარმოების მატების შესახებ — ქვიშის სულ ცოტა 400 ათასი კუბური მეტრით, ხრეშისა და ღორღისა — 300 ათასი კუბური მეტრით, თანა რამდენადმე დაკმაყოფილდეს მშენებელთა მოთხოვნილებანი.

მშენებლობის მოცულობის ზრდის ტემპები, განაგრძობს ამხ. გეგეშიძე, წლითწლობით იზრდება. მშენებლობაში ტექნიკური პროგრესის მთავარი პირობაა ასაწყობი რკინაბეტონის ფართოდ გამოყენება. იგეგმება და შენდება რკინაბეტონის ახალი ძლავრი ქარხნები. მაგრამ რა ნელეულით იმუშავებს ასაწყობი რკინაბეტონის მრეწველობა, სად მოვიპოვოთ იგი, გამოვიყენოთ დამსხვრეული მთის ქანები თუ დავამუშაოთ და გავამდიდროთ ბუნებრივი სახეობები — ამ საკითხზე წარმოებს უნაყოფო დავა, მაშინ როცა მეცნიერულად და ეკონომიურად დასაბუთებული მასალები ამ საკითხზე არა აქვს არც სახალხო მეურნეობის საბჭოს, არც სხვა დაინტერესებულ უწყებებს.

ასეთ მდგომარეობას ინერტული მასალების საქმეში გადაჭრით უნდა მოეუღოთ ბოლო. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ მშენებლებს ჭარბად ჰქონდეთ დაფრაქციებული ღორღი, გამდიდრებული ქვიშა და ხრეში.

პარტიის რაიონულმა და საქალაქო კომიტეტებმა, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ, ადგილობრივი მეურნეობის სამინისტრომ, სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა განსაკუთრებული კონტროლი უნდა დაწესონ ინერტული მასალების გადამამუშავებელი ქარხნების, მათი მოპოვების კარიერების მშენებლობისადმი, რათა უკვე მიმდინარე წელს მიგაღწიოთ ძირეულ გარღვევას ამ საქმეში.

რესპუბლიკაში ინერტული მასალების დამუშავებას, აღნიშნავს შემდეგ მომხსენებელი, ეწევიან სახალხო მეურნეობის

საშენ მასალათა მრეწველობის და სამშენებლო ინდუსტრიის მუშაკების რესპუბლიკური თათბირის მონაწილეთა ჯგუფი (მარცხნიდან მარჯვნივ) წითელწყაროს კირის ქარხნის ექსკავატორის მემანქანე ნ. კობლამაზაშვილი, კასპის კირქვის კარიერის საბაგირო გზის ზეინკალი ბ. მაჩიულავშვილი, რუსთავის ცემენტის ქარხნის კომუნისტური შრომის ცვლის ხელმძღვანელი რ. ციმბინაძე და ცხაკაიას კირის ქარხნის ინჟინერი ბ. გიგინეიშვილი.

ფოტო ვლ. ზარიძისა.

ველყოფენ, მათი ოგება ჭიანურდება. მარნეულის დაფრაქციებული ღორღის ქარხნის მშენებლობის ისტორია შეიძლება მაგალითი იყოს ამ საქმისადმი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს და მშენებლობის სამინისტროს უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისა. მრავალი დაირქმის მიუხედავად, ჩვენი რესპუბლიკისათვის ამ უაღრესად საჭიროა საწარმოს ამუშავება, რაც დასახული იყო 1959 წელს, დღესაც არ განხორციელებულა. თუ მარნეულის ქარხანა, რომლის სიმძლავრეა წელიწადში 400 ათასი კუბური მეტრი დაფრაქციებული ღორღი, მიმდინარე წლის მეორე კვარტალში არ ამუშავდა, არავითარი დაპირება მხედველობაში არ იქნება მიღებული. ახალმა საწარმომ სამშენებლო ინდუსტრიას წელს უნდა მისცეს 200 ათასი კუბური მეტრი დაფრაქციებული ღორღი.

სახელმწიფო საგეგმო კომისიამ, სახალხო მეურნეობის საბჭომ, სახმშენმა უნდა განიხილონ საკითხი 1963 წელს გამდიდრებული მასალების წარმოების მატების შესახებ — ქვიშის სულ ცოტა 400 ათასი კუბური მეტრით, ხრეშისა და ღორღისა — 300 ათასი კუბური მეტრით, თანა რამდენადმე დაკმაყოფილდეს მშენებელთა მოთხოვნილებანი.

მშენებლობის მოცულობის ზრდის ტემპები, განაგრძობს ამხ. გეგეშიძე, წლითწლობით იზრდება. მშენებლობაში ტექნიკური პროგრესის მთავარი პირობაა ასაწყობი რკინაბეტონის ფართოდ გამოყენება. იგეგმება და შენდება რკინაბეტონის ახალი ძლავრი ქარხნები. მაგრამ რა ნელეულით იმუშავებს ასაწყობი რკინაბეტონის მრეწველობა, სად მოვიპოვოთ იგი, გამოვიყენოთ დამსხვრეული მთის ქანები თუ დავამუშაოთ და გავამდიდროთ ბუნებრივი სახეობები — ამ საკითხზე წარმოებს უნაყოფო დავა, მაშინ როცა მეცნიერულად და ეკონომიურად დასაბუთებული მასალები ამ საკითხზე არა აქვს არც სახალხო მეურნეობის საბჭოს, არც სხვა დაინტერესებულ უწყებებს.

ასეთ მდგომარეობას ინერტული მასალების საქმეში გადაჭრით უნდა მოეუღოთ ბოლო. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ მშენებლებს ჭარბად ჰქონდეთ დაფრაქციებული ღორღი, გამდიდრებული ქვიშა და ხრეში.

პარტიის რაიონულმა და საქალაქო კომიტეტებმა, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ, ადგილობრივი მეურნეობის სამინისტრომ, სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა განსაკუთრებული კონტროლი უნდა დაწესონ ინერტული მასალების გადამამუშავებელი ქარხნების, მათი მოპოვების კარიერების მშენებლობისადმი, რათა უკვე მიმდინარე წელს მიგაღწიოთ ძირეულ გარღვევას ამ საქმეში.

რესპუბლიკაში ინერტული მასალების დამუშავებას, აღნიშნავს შემდეგ მომხსენებელი, ეწევიან სახალხო მეურნეობის საბჭოც, ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროც, მთავართბილისმშენიც, მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო ორგანიზაციებიც. იქმნება წვრილი, ძვირადღირებული, არარენტაბელური მეურნეობანი, რომლებსაც ღორღს, ქვიშასა და ხრეშის დამსხვრევის, დახარისხებისა და გარეცხვის ტექნიკის გამოყენების შესაძლებლობა არ აქვთ, რაც იწვევს ამ დარგში კაპიტალურ მშენებლობაზე სახსრების დიდ დაქსაქსვას და უხარისხო პროდუქციის გამოშვებას.

ბოლო უნდა მოეღოს ინერტული მასალების წარმოების უწყვეტიგ დაქსაქსულობას და მთელი პასუხისმგებლობა რესპუბლიკაში ინერტული მასალების მრეწველობის განვითარებისათვის დაეკისროს ერთიან ორგანოს.

პროგრესული, ახალი — პრაქტიკაში

სამშენებლო ინდუსტრიის საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს არამადნეული მასალების მრეწველობის განვითარებას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ხელოვნური და ბუნებრივი მსუბუქი შემავსებების — პერლიტის, კერამზიტის, ეფლაკური წიდის, ამობურცული ობსიდიანის, ტუფისა და სხვა მასალების ახალი წარმოების მოწყობას. ეს მასალები საჭიროა მსუბუქი საკედლე ბლოკებისა და პანელების დასამზადებლად, აგრეთვე დიდპანელიანი სახლმშენებლობისათვის საიზოლაციო მასალების დასამზადებლად და სხვა მიზნებისათვის.

ამავე დროს ჩვენს მშენებლობებზე გამოყენებული არ არის ისეთი იაფი და მსუბუქი მასალა, როგორიც არის სილიკალიტი, რომელიც ესტონელმა ინჟინრებმა გამოიგონეს. ამ მასალის ლიცეტზეიებს ყიდულობენ იტალიის, იაპონიისა და სხვა სახელმწიფოების კაპიტალისტური ფირმები, ჩვენ კი გულგრილად ვეკიდებით მასალას, რომელიც განსაკუთრებით საჭიროა სოფლად მშენებლობის ინდუსტრიალიზაციისათვის. სულ უმნიშვნელო რაოდენობით არის გამოყენებული სამშენებლო ინდუსტრიაში ჩვენი დიდი თბოელექტროცენტრალების ნაცარი, თაბაშირი და ალუმასტრი.

უნდა გავიანგარიშოთ, დავასაბუთოთ და ფართო მასშტაბებით მოვაწყოთ უცემენტო ნაკეთობათა წარმოება რესპუბლიკის ქვიშისა და კირქვის საბადოების ბაზაზე.

გაუმჯობესებას მოითხოვს აგურის ხარისხი. ბევრს მიაჩნია, რომ აგური წარსულის მასალაა, ნაკლებად გამოსადეგია ინდუსტრიული მშენებლობისათვის. ეს ასეც არის. მაგრამ სანამ ჩვენ დიდანელიანი და დიდბლოკიანი სახლმშენებლობა არ აგვიყვანია საჭირო მასშტაბამდე, აგური ფართოდ უნდა გამოვიყენოთ მშენებლობაში ცალობრივ მასალადაც და პანელებისა და ბლოკების სახითაც. ამიტომ აგურის ხარისხის გაუმჯობესება ქვლავ გადაუდებელი ამოცანაა.

ყოველი ღონისძიებით უნდა განვავითაროთ დიდი საკედლე ბლოკების წარმოება. უკანასკნელ სამ წელიწადში ეს წარმოება მნიშვნელოვნად გაიზარდა. დიდბლოკიანი სახლმშენებლობა უნდა მივაკუთვნოთ მაღალინდუსტრიული ტიპის მშენებლობას და ამიტომ დიდი საკედლე ბლოკების წარმოების გაფართოება ყოველნაირად უნდა შემოვიღოთ უცემენტო ბლოკების წარმოება კირის, წყლისა და სხვა მასალების გამოყენებით, რომლებსაც უკვე წარმატებით იყენებენ ოუსთოკვსა და ტყვარჩელში. მთავართბილისმშენი, რომელსაც გარკვეული მიღწევები აქვთ თბილისში დიდბლოკიანი სახლმშენებლობის განვითარებაში, მთლიანად უნდა გადავიდეს უცემენტო ბლოკების წარმოებაზე.

თანამედროვე მშენებლობისათვის და განსაკუთრებით დიდპანელიანი მშენებლობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ბგერასაიზოლაციო და თბოსაიზოლაციო მასალების წარმოებას, რესპუბლიკის მრეწველობის ეს ახალი დარგი მხოლოდ ახლა ვითარდება. მისი პირმშოა რუსთავის წიდა-ბამბის ქარხანა. მაგრამ მისი მშენებლობა ისევე გაჭიანურდა, როგორც პირველი რიგის აგრეგატების გაწყობა.

მშენებლები განიცდიან საიზოლაციო მასალების, კერძოდ, ფიბროლიტის მწვავე ნაკლებობას. ამავე დროს მათი წარმოება ჩვენში მომდინარეობს კუსტარულად, პრიმიტიული მეთოდებით. სახალხო მეურნეობის საბჭომ უნდა მოაგვაროს ფიბროლიტის წარმოება ნახევრადავტომატურ ხაზებზე, რომელთა გამომვლება დაიწყეს საბჭოთა კავშირის მთელმა რიგმა საწარმოებმა, და მოაწყოს ფიბროლიტის ფილების დამზადება ერთ-ერთ დიდ ხისდასამუშავებელ საწარმოში, რომელსაც საკმარისად აქვს მერქნის ნარჩენები.

უკრედოვანი ბეტონების წარმოების ორგანიზაცია, მინერალური ბამბისა და მისი ნაწარმის გამოშვების გაფართოება, ფიბროლიტის წარმოება რამდენადმე აუმჯობესებს მშენებლობის ეუზრუნველყოფას თბოსაიზოლაციო მასალებით, მაგრამ ამას, რა თქმა უნდა, ვერ დაეკერდებით.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭომ და სამეცნიერო-საკვლევმა ორგანიზაციებმა უნდა გაგალინ მუშაობა, რათა მოაწყონ ახალი თბოსაიზოლაციო, ბგერასაიზოლაციო და ჰიდროსაიზოლაციო მასალების წარმოება, ისეთებისა, როგორიც არის მინის ბოჭკო, იზოლი და ზოგიერთი სახეობის სინთეზური მასალები. ეფექტიანი საიზოლაციო მასალების წარმოების გაფართოება შესაძლებლობას მოგვცემს კიდევ უფრო შევამციროთ შენობათა, კონსტრუქციათა და ნაგებობათა წონა და ამრიგად გადავდგათ კიდევ ერთი ნაბიჯი სახელმწიფო სახსრების დაზოგვისათვის.

მშენებლობაში დიდი გამოყენება უნდა ჰპოვოს ზედაპირების მოსაპირკეთებელმა ისეთმა კარგმა მასალებმა, როგორიც არის ფაჯი და კირი, რომლებიც უზრუნველყოფენ არა ერთი ასეული ტონა ცემენტის დაზოგვას.

მოხსენებაში აღძრული იყო საკითხები, რომლებიც ეხება სადურგლო ნაკეთობათა წარმოების გაუმჯობესებას. რესპუბლიკის ყველა სამშენებლო ორგანიზაციას აქვს თავისი ხისდასამუშავებელი კომბინატი. ყოველი სამშენებლო ტრესტი ცდილობს უზრუნველყოს თვისი თავი სადურგლო ნაკეთობებით, ამასთან პროდუქციის ცუდი ხარისხისას უშვებენ, მერქნის ცუდ ხარისხს, ნედლი მასალისაგან კარ-ფანჯრის დამზადებას ის მოსდევს, რომ საექსპლოატაციოდ გადაცემულ სახლებში ყველაზე უხარისხო კონსტრუქციული ელემენტია დაგრეხილი, კოჭრიანი, ცუდად გაშენდილი სადურგლო ნაკეთობანი, მაშინ როცა ისინი უნდა ამშვენებდნენ ბინას, სკოლას, კლუბს.

სადურგლო ნაკეთობათა წარმოების დაქსაქსულობა არ იძლევა საწარმოთა სპეციალიზაციის საშუალებას, რის გამო მთლიანად არ არის გამოყენებული მათი საწარმოო სიმძლავრე.

ყოველდღიურად გავაუმჯობესოთ სამშენებლო საქმე

ინდუსტრიული მშენებლობის საფუძველია, თქვა ამხ. გეგეშიძემ, ასაწყობი რკინაბეტონის ფართოდ გამოყენება. მიუხედავად იმისა, რომ 1958 წელთან შედარებით რკინაბეტონის წარმოება რესპუბლიკის საწარმოებში 106 პროცენტით გაიზარდა და 344 ათას კუბურ მეტრს მიაღწია, მისი გამოყენების დონე 100 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე 1961 წელს შეადგინა სულ 175 კუბური მეტრი, რაც ჩვენს ქვეყანაში 1960 წელს მიღწეულ საშუალო დონეზე უფრო დაბალია.

ასაწყობი რკინაბეტონის მრეწველობის განვითარებაში სერიოზული ნაკლია ჰიმორჩენა მოწინავე ტექნოლოგიისა და ახალი პროგრესული კონსტრუქციების დანერგვაში. კონსტრუქციები წინასწარდაძაბული რკინაბეტონის გამოყენება მნიშვნელოვნად ამცირებს ლითონის ხარჯს, საშუალებას იძლევა დამზადდეს დიდმალიანი კონსტრუქციები, რომლებიც საჭიროა სამრეწველო მშენებლობისათვის. ანალიზი კი გვიჩვენებს, რომ 1961 წელს გამოშვებული 344 ათასი კუბური მეტრი ასაწყობი რკინაბეტონიდან მხოლოდ 22,4 ათასი კუბური მეტრი ანუ 6,6 პროცენტი იყო წინასწარდაძაბული. ამასთან წინასწარდაძაბულ კონსტრუქციებს ამზადებენ ძირითადად მშენებლობის სამინისტროს, სახალხო მეურნეობის საბჭოს, წყალთა მეურნეობის სამინისტროს, მთავართბილისმშენის და სხვა სამშენებლო ორგანიზაციების სამშენებლობაში. ამ ორგანიზაციებს გამგებლობაში არიან. ნაკეთობათა გამოშვება აქ წარმოებს ვიწრო უწყებრივ მოთხოვნილებათა ჩარჩოებში, რაც იწვევს საწარმოო სიმძლავრეთა არასრულ გამოყენებასა და პროდუქციის დიდ თვითღირებულებას.

არ შეიძლება არ ვუსაყვედუროთ სახმშენსა და საპროექტო ორგანიზაციებს, რომ ჩვენს საწარმოებში, რომლებიც ასაწყობ რკინაბეტონს აწარმოებენ, რკინაბეტონის ნაკეთობათა დიდძალი ტიპზომების გამო მშენებლები იძულებული არიან დაამზადონ დიდი ნომენკლატურის ნაკეთობანი. ეს იწვევს სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოთა საწარმოო სიმძლავრეების მნიშვნელოვან შემცირებას და უარყოფით გავლენას ახდენს მათს ტექნიკურ-ეკონომიურ მაჩვენებლებზე. მარტო მთავართბილისმშენის ორ საწარმოში შარშან დამზადებულია 250-ზე მეტი ტიპზომის რკინაბეტონის კონსტრუქციები და დეტალები.

სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოები სხვადასხვა, ზოგჯერ წვრილ სამშენებლო ორგანიზაციებს რომ ეკუთვნის, ეს იწვევს ნაკეთობათა გაუმართლებელ შემხვედრ გადაზიდვას. მაგალითად, ჰიდროენერგომშენის ტრესტის თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის წინასწარდაძაბული რკინაბეტონის გამოყენება მნიშვნელოვნად ამცირებს ლითონის ხარჯს, საშუალებას იძლევა დამზადდეს დიდმალიანი კონსტრუქციები, რომლებიც საჭიროა სამრეწველო მშენებლობისათვის. ანალიზი კი გვიჩვენებს, რომ 1961 წელს ამშენებული სადურგლო ნაკეთობანი, მაშინ როცა ისინი უნდა ამშვენებდნენ ბინას, სკოლას, კლუბს.

სადურგლო ნაკეთობათა წარმოების დაქსაქსულობა არ იძლევა საწარმოთა სპეციალიზაციის საშუალებას, რის გამო მთლიანად არ არის გამოყენებული მათი საწარმოო სიმძლავრე.

ყოველდღიურად გავაუმჯობესოთ სამშენებლო საქმე

ინდუსტრიული მშენებლობის საფუძველია, თქვა ამხ. გეგეშიძემ, ასაწყობი რკინაბეტონის ფართოდ გამოყენება. მიუხედავად იმისა, რომ 1958 წელთან შედარებით რკინაბეტონის წარმოება რესპუბლიკის საწარმოებში 106 პროცენტით გაიზარდა და 344 ათას კუბურ მეტრს მიაღწია, მისი გამოყენების დონე 100 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე 1961 წელს შეადგინა სულ 175 კუბური მეტრი, რაც ჩვენს ქვეყანაში 1960 წელს მიღწეულ საშუალო

უფრო მაღალ დონეზე ავიყვანოთ საშენ მასალათა წარმოება და სამშენებლო საქმე

(დასასრული)

ინდუსტრიისა და საშენ მასალათა მრეწველობის ახალი სიმძლავრეების მთავრობის მიერ დაწესებულ ვადებში საექსპლოატაციოდ გადაცემის ამოცანების შეუსრულებლობა საფრთხეს შეუქმნის რესპუბლიკაში კაპიტალურ დაბანდებათა გეგმის შესრულებას.

ამბ. გეგეშიძემ თავის მოხსენებაში მოიყვანა ფაქტები, როცა ცალკეულ სამშენებლო ორგანიზაციათა ხელმძღვანელები დაუდევრად, არასახელმწიფოებრივად ეკიდებიან ტექნიკასა და მოწყობილობას. ასეთი საქმეებისათვის პარტიული ორგანოები ადგილებზე მკაცრ პასუხისგებაში უნდა აძლევდნენ კონკრეტულ დანშაულებს.

არის შემთხვევები, როცა მთელი რიგი ქარხნები სისტემატიურად ნაკლებ საშენ მასალებს ტვირთავენ გასაგზავნ დოკუმენტებში აღნიშნულთან შედარებით. საბალხო მეურნეობის საბჭოსა და ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოებში არის გაფლანგვის, დატაცების, წამატებისა და სხვა ბოროტმოქმედებათა მთელი რიგი ფაქტები. საწარმოთა ხელმძღვანელები, პარტიული ორგანიზაციები, საბალხო მეურნეობის საბჭო და ადგილობრივი მეურნეობის სამინისტრო არ აწარმოებენ გადამწყვეტ ბრძოლას დარღვევებისა და ბოროტმოქმედების წინააღმდეგ, ყურს არ უგდებენ მშრომელთა სიგნალებს.

საშენ მასალათა მრეწველობისა და სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოთა მუშაობაში, აგრეთვე მათს ხელმძღვანელობაში, ამბობს ამბ. გეგეშიძე, არის სერიოზული ნაკლოვანებანი და შეცდომები, ჯერ კიდევ ბევრია გადაუჭრელი საკითხი. უნდა ვაღიაროთ, რომ ნაკლოვანებანი გაცილებით ნაკლები იქნებოდა, ცენტრალური კომიტეტის, მინისტერთა საბჭოს, პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების შესაბამისი განყოფილებანი, არა ზოგადად და არა მთლიანად, არამედ უფრო კონკრეტულად და შინაარსიანად რომ ხელმძღვანელობდნენ მრეწველობის ამ უმნიშვნელოვანეს დარგს, საიდუმლო არ არის, რომ საშენ მასალათა მრეწველობისა და სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოთა ბევრი პიროვნული პარტიული ორგანიზაცია არადამაკმაყოფილებლად მუშაობს, სუსტად არის დაყენებული პარტიულ-ორგანიზაციული და ამხმოდელობითი მუშაობა საწარმოთა მშრომელებში, სუსტია კონტროლი ადმინისტრაციის საქმიანობისაში, საკმაო არ რაზმავენ მშრომელებს საწარმოს წინაშე მდგომი ამოცანების შესრულებისათვის, გეგმისათვის, მაღალი ხარისხისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის საბრძოლველად.

პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტები ძირითადად, ზერელედ მუშაობენ პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის, ამ საწარმოთა პოლიტიკური და სამეურნეო საქმიანობის გაუჯობესების საკითხებზე. პარტიის ზოგიერთ საქალაქო კომიტეტსა და რაიკომს უკანასკნელ წლებში არც ერთხელ არ გაუხდია ბიუროზე ან პლენუმებზე განხილვის საგნად მათ ტერიტორიაზე მდებარე საშენ მასალათა მრეწველობისა და საშენებლო ინდუსტრიის საწარმოთა საქმიანობის საკითხები. ყოველივე ეს უნდა გავითვალისწინოთ.

ახლა რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების, სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების, ჩვენი მეცნიერების ამოცანა ის არის, რომ გადაჭრით გაუმჯობესონ საშენ მასალათა მრეწველობისა და სამშენებლო ინდუსტრიის განვითარების საქმის ხელმძღვანელობა, ყოველდღიურად გაუწიონ მათ დახმარება. უნდა გავაძლიეროთ ორგანიზატორული მუშაობა.

მივაღწიოთ იმას, რომ შესრულდეს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებანი, ავამაღლოთ მრეწველობის ამ დარგის ყველა მუშაკის პასუხისმგებლობა მიხდობილი საქმისათვის, უფრო ფართოდ და გაბედულად ჩავაბათ მშრომელთა მასები, პროფკავშირული და კომკავშირული აქტივი საშენებლო ინდუსტრიის ობიექტების მშენებლობის მიმდინარეობისადმი კონტროლში მუდმივი მონაწილეობისათვის.

მოხსენების დასასრულს ამბ. გეგეშიძე ამბობს, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი დარწმუნებულია, რომ საშენ მასალათა მრეწველობისა და სამშენებლო ინდუსტრიის მუშაკები, მეცნიერები, მთელი ძალღონესა და ენერგიას, ცოდნასა და გამოცდილებას მოახმარენ სახალხო მეურნეობის ამ დარგის შემდგომ განვითარებას და შეიტანენ თავიანთ წვლილს კომუნისტური საზოგადოების აშენების დიდებული პროგრამის განხორციელების საქმეში, საზოგადოებისა, რომელიც დედამიწაზე ამკვიდრებს ყველა ხალხის მშვიდობას, შრომას, თავისუფლებას, თანასწორობას, ძმობას და ბედნიერებას.

□ □

კამათის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს გამოცდილება, განიხილეს სამრეწველო, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის, მრეწველობის რეზერვებისა და ადგილობრივი რესურსების გამოყენების გზით საშენ მასალათა წარმოების გადიდების, სამშენებლო ინდუსტრიის განვითარების ცალკეული საკითხები.

უკანასკნელ ხანს ბევრი რამ გაკეთდა საშენ მასალათა მრეწველობის განვითარებისათვის, — თქვა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საშენ მასალათა მრეწველობის საბჭოს თავმჯდომარემ ე. ნ. ცინცაძაძემ. შვიდწლედის მარტო სამ წელიწადში მათი წარმოება 45 პროცენტით გაიზარდა. ეს ტემპი გაცილებით სწრაფია, ვიდრე რესპუბლიკის მთელი მრეწველობის საშუალო წლიური ზრდა.

მრეწველობამ შვიდწლედის ამ წლებში, მათ შორის განვლილ 1961 წელს, მნიშვნელოვანი გადაჯარბებით შეასრულა გეგმა. საკედლე მასალების წარმოება გადიდდა 30 პროცენტით, კერამიკული ნაწარმისა —40 პროცენტით. დავალების გადამეტებით გამოშვებულია ათასობით ტონა ცემენტი. სასიხარულოა, რომ ჯერ კიდევ შარშან ცემენტის წარმოებამ გადაჯარბა 1965 წლის დონეს, ხოლო კერამიკული ნაწარმის წარმოებამ — 1963 წლის დონეს. ბევრი რამ გაკეთდა ახალი მასალების გამოშვებისათვის. დაწყებულია სწრაფადმაგრდებადი წიდაპორტლანდცემენტის, ფიბროლითის, მინერალური ბამბის, დიდდგამძლე სახურავი მასალების, ვიბროაგურის პანელებისა და სხვ. მასობრივი წარმოება. იწყება პერლითის, კერამზიტის, რეინბეტონის ნაკეთობათა წარმოება.

მიმდინარეობს მუშაობა საშენ მასალათა მრეწველობის ტექნიკური პროგრამისათვის.

მაგრამ სწორი არ იქნება, ამბობს ამბ. ცინცაბაძე, — გვერდი ავუაროთ დიდ ნაკლოვანებებს ჩვენს მუშაობაში, რომლებიც ხელს უშლიან მრეწველობის წინსვლას. საერთო კარგ მაჩვენებლებთან ერთად ჩვენში ბევრია ჩამორჩენილი საწარმო. ყურადღება უნდა მიექცეს შრომის ნაყოფიერების გადიდებას, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას. ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როცა მომხმარებლებს აწვდიან ცუდი ხარისხის პროდუქციას.

ორატორი შეეხო ისეთ საკითხებს, როგორიც არის ინერტული მასალების წარმოების ტექნიკური ბაზის განმტკიცება, ასაწყობი რკინაბეტონის წარმოებისათვის მტკიცე სამრეწველო ბაზის შექმნა, ახალი პროგრესული მასალების დანერგვა ისეთი მასშტაბით, რაც უზრუნველყოფს მშენებლობის ტემპსა და ხარისხს, ტექნიკის დატვირთვას. არ შეიძლება შევეგრიგდეთ იმ ფაქტს, რომ ასაწყობი რკინაბეტონის წარმოების დონით ჩვენ 1,5-ჯერ ჩამოვრჩებით საშუალო საკავშიროს და 2,5-3-ჯერ და მეტად — მოწინავე ეკონომიურ რაიონებს.

მეტად აქტუალურია საშენ მასალათა მრეწველობის კვალიფიკური კადრებით უზრუნველყოფის საკითხი. საკმარისია ითქვას, რომ ახლა ჩვენს საწარმოებში სპეციალისტთა თანამდებობის 50 პროცენტზე მეტი პრაქტიკოსებს უკავიათ. ეს დიდ გავლენას ახდენს მრეწველობის მუშაობის დონეზე. ამავე დროს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში არასპეციალობით მუშაობს ჩვენი პროფილის ბევრი ინჟინერი. მაგრამ ამ პირობებშიც არ გვაქვს შესაძლებლობა დავაკმაყოფილოთ საშენ მასალათა მრეწველობა კადრებით. ამასთან დაკავშირებით უნდა გადიდდეს ჩვენთვის საჭირო სპეციალისტების მომზადება რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში, გადაისინჯოს სასწავლო პროგრამებიც, რომლებიც საკმაოდ არ გამოხატავენ თვისებრივ ცვლილებებს, რაც ხდება საშენ მასალათა მრეწველობასა და სამშენებლო ინდუსტრიაში.

რუსთავის ცემენტის ქარხნის — ჩვენი ქვეყნის ცემენტის, მრეწველობის ერთ-ერთი მოწინავე საწარმოს მუშაობის გამოცდილებაზე ილაპარაკა ქარხნის დირექტორმა **შ. ს. მინდიაშვილმა.** მან მოიყვანა დამაჯერებელი ფაქტები, მაგალითები, რომლებიც მოწმობენ მუშათა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა მნიშვნელოვან წარმატებებს წარმოების გადიდებაში და გამომუშავებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში. შვიდწლედის განვლილ სამ წელიწადში ქარხანამ ჩვენს ქვეყანას მისცა გაცილებით მეტი ცემენტი, ვიდრე შვიდწლიანი გეგმის საკონტროლო ციფრებით იყო გათვალისწინებული. აღნიშნულ პერიოდში ორი პროცენტით და მეტად გადიდდა ცემენტის საშუალო მარკა, გაუმჯობესდა მისი ასორტიმენტული შემადგენლობა.

საწარმოო გეგმის შესრულების წარმატებებთან ერთად იზრდებოდა შრომის ნაყოფიერება. განვლილ ხუთ წელიწადში იგი მანეთობით 17,2 პროცენტით გაიზარდა. შრომის ნაყოფიერებისა და სხვა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების გადიდება მიღწეულია ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების, მთელი რიგი ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების განხორციელების შედეგად, რამაც ხელი შეუწყო ტექნიკურ პროგრესს, რაციონალიზატორთა წინადადებების დანერგვას.

სწრაფი ტემპი განვითარა ქარხნის კოლექტივმა ახალი წლის პირველი დღეებიდან. რუსთაველ მეცენატეთა აბგარიშზეა უკვე პირველი ათასობით ტონა ზეგეგმითი ცემენტი, ათობით კუბური მეტრი საშენი ფიბროლითი და ათასობით ცალი კრამიტი.

თბილისის კერამიკის კომბინატის პარტორგანიზაციის მდივანმა **ვ. მ. ჩეფხოძემ** ილაპარაკა საწარმოს კოლექტივის წარმატებებზე, რომელმაც გადაჭარბებით შეასრულა გასული წლის გეგმა და დაწესებული დავალების გადაჭარბებით გამოუშვა 350 ათასი მანეთის პროდუქცია. სკკპ XXII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულმა მუშაკებმა გადაწყვეტეს 5 წელიწადში შეასრულონ მთლიანი პროდუქციის შვიდწლიანი გეგმა და შვიდწლედის განმავლობაში გეგმის გადაჭარბებით გამოუშვან სულ ცოტა 4,5 მილიონი მანეთის პროდუქცია, ითვისონ და შვიდწლედის დამლევამდე გამოუშვან 30 ახალი სახეობის ნაწარმი.

საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრმა **ს. ს. ლორთქიფანიძემ** სწორად და სამართლიანად ცნო სამინისტროს და მისი ორგანიზაციების საქმიანობის კრიტიკა. ჩვენი სამშენებლო ტრესტებისა და საწარმოების მუშაობაში, — აღნიშნა მან, — ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია. სუსტად ვიბრძვით ჩვენ საწარმოთა სამძლავრეების უკეთ გამოყენებისათვის, ჯერ კიდევ სრულად არ ვიყენებთ შინაგან რეზერვებს სამრეწველო პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის.

სერიოზული ნაკლია ის, რომ ჩვენი ტრესტების საწარმოები არ არიან სპეციალიზებული და იძულებული არიან თვითონ დაამზადონ ვრცელი ნომენკლატურის ნაკეთობანი მშენებლობისათვის.

გამოსულები წამოყენებულ იქნა საკითხი იმის შესახებ, რომ საჭიროა ძირეულად გაუმჯობესდეს მშენებლობათა მომთაბარეობა ხარისხოვანი საშენი მასალებით, უწინარეს ყოვლისა, თანამედროვე ასაწყობი რკინაბეტონის ნაკეთობათა დასამზადებლად გამოსადეგი ინერტული მასალებით.

აჭარაში კაპიტალური მშენებლობის შესახებ ილაპარაკა აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სამმართველოს უფროსმა **ნ. ნ. აბაშიძემ.** აქ შექმნილია სამშენებლო ინდუსტრიის საკმაოდ მტკიცე ბაზა, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს საბინაო მშენებლობის წარმოება დიდი მასშტაბით. რამდენადმე ცუდი მდგომარეობაა სამრეწველო მშენებლობის უბნებზე. აჭარაში ჯერ კიდევ არ არის შექმნილი მშენებლობის ამ დიდმნიშვნელოვანი სახეობის სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოები, სამრეწველო შენობების დიდი მალიანი ნაგებობების ძირითადი კონსტრუქციების სრულდება მონოლითური რკინაბეტონისაგან, რომელიც თანამედროვე ინდუსტრიული მშენებლობის პირობებში მეტად შეუფერებელია.

ჩვენს საწარმოში, თქვა მთავართბილისმშენის № 3 საწარმოო კომბინატის შემდუღებელმა **ი. ნ. დოლიძემ,** კომუნისტური შრომის სასტიკი წოდების ათობით დამკვიდრელი, ბრიგადა და საამქრო ატარებს. ამ წოდებისათვის იბრძვის მთელი კომბინატის კოლექტივი. კომბინატის საამქროებში ფართოდდება შეჯიბრება ყოველდღიური საწარმოო გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის. ხორცელდება წარმოების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია. ჩვენი მუშაობა კიდევ უფრო ნაყოფიერი იქნებოდა, რომ სამენ მასალათა მრეწველობა შეუფერებლად და დროზე გვაწვდიდეს ინერტულ მასალებს, ცემენტსა და ლითონს.

თამბირის ტრიბუნაზე გამოსულმა საშენ მასალათა მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორმა **კ. ს. ქუთათელაძემ** ილაპარაკა რესპუბლიკის ამ ახალგაზრდა სამეცნიერო დაწესებულების საქმიანობაზე. მეცნიერი თანამშრომლები მთავარ ყურადღებას აქცევენ ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, ახალი ეფექტიანი მასალებისა და კონსტრუქციების, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების შემუშავებასა და დანერგვას.

საქართველოს სსრ აღგილობრივი მეურნეობის მინისტრმა **მ. ა. მეგრელიშვილმა** ილაპარაკა იმ დიდ როლზე, რომელსაც ასრულებენ ადგილობრივი მრეწველობის საწარმოები საშენი მასალებით მშენებლობათა უზრუნველყოფის საქმეში. მაგრამ ამ საწარმოთა საქმიანობაში არსებითი ნაკლოვანებებია.

გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებს. მაგრამ უკანასკნელ დროს ისინი ყურადღებას აქცევენ მხოლოდ დიდ საწარმოებს, ადგილობრივი მრეწველობის საწარმოები კი მათი თვალთახედვის არეში ვერ მოხვდნენ.

რაიონის მრეწველობაში წამყვანი ადგილი უჭავია საშენ მასალათა საწარმოებს, — თქვა საქართველოს კომპარტიის ასპინძის რაიკომის მდივანმა **ბ. ნ. გეჯაძემ,** — შვიდწლედის მესამე წლის საწარმოო გეგმა წარმატებით გაანაღდეს კავთისხევის კირის კაერიერის, თქმადის ტუფის წარმოების, ცემენტისა და ფერის ქარხნების კოლექტივებმა. ასპინძის ცემენტის ქარხნის წარმოების მუშაკები ამაღლებენ საწარმოს ტექნიკურ დონეს, ავლინებენ შინაგან რეზერვებს და მტკიცედ ადიდებენ პროდუქციის გამომვებას. შარშან მათ გეგმის გადამეტებით ათასობით ტონა ცემენტი გამოუშვეს.

საშენ მასალათა მრეწველობის მუშაობა პარტიული ორგანიზაციის ყურადღების ცენტრშია, რომელიც ყოველი ღონისძიებით ცდილობს წარმატებით შესრულდეს 1962 წლის — შვიდწლედის მეოთხე წლის გეგმა.

დიდი და პასუხსაგები ამოცანები აკისრია ბზიფის რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხნის კოლექტივს. ამ ახალგაზრდა საწარმოს აქვს დიდძალენიანი სახლთმშენებლობის მძლავრი საამქრო, ასაწყობი რკინაბეტონის ნაკეთობათა წარმოების პოლიგონი. ქარხნის დირექტორმა, **რ. ნ. ნინუამ** განაცხადა, რომ საწარმოს მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა შემჭიდროებულ გადებში ათვისეს დიდძალენან ნაკეთობათა წარმოება, განახორციელეს მუშაობა ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფისათვის.

ამბ. ნინუამ ილაპარაკა იმაზე, რომ საჭიროა დაჩქარდეს ქარხნის მოლიანი კომპლექსის მშენებლობის დამთავრებასთან დაკავშირებული სამუშაოები. მაგალითად, საქართველოს შახტმშენი მეტად ნელა აწარმოებს საორთქლე საქვაბის მონტაჟს. ჭიათურიდა სამუშაოები სხვა დამხმარე საამქროებშიც. არადამაკმაყოფილებლად ამარაგებენ ქარხანას მასალებით, განსაკუთრებით კი ასორტიმენტის მიხედვით.

ტრიბუნაზეა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო სამის ინსტიტუტის დირექტორი **კ. ს. ზავრიევი.** მან თქვა, რომ სკკპ XXII ყრილობის გადწყვეტილებებით გათვალისწინებული მშენებლობის ულტრა მასშტაბი მოითხოვს ახლებურ მიდგომას მშენებლობის პროცესებისადმი, მეცნიერების აქტიურ ჩარევას შესაბამის მასალათა ხარისხის გაუმჯობესებაში და შრომის მაღალი ნაყოფიერების მიღწევაში. უწინარეს ყოველისა მთელი მშენებლობა გადაჭრით უნდა დავაყენოთ ინდუსტიულ რელსებზე, რაც გაათავისუფლებს მუშათა მნიშვნელოვან ნაწილს, და ამით შესაძლებლობას მოგვცეს აღმოვფხვრათ სამუშაო ძალის ნაკლებობა. როგორც გაანგარიშებანი ცხადყოფენ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენში განვითარებულია მშენებლობა ასაწყობი რკინაბეტონისაგან, ხელის შრომის მოცულობა ჯერ კიდევ მაინც მეტად დიდია. ასაწყობი ელემენტების მონტაჟის დროსაც კი ბევრი პროცესი ხელით სრულდება.

წითელწყაროს კირის ქარხნის მექანიკოსტატორ **ნ. გ. კოკლამაზაშვილი** შეეხო ნაკლოვანებებს, რომლებიც აფერხებენ საწარმოს ნორმალურ მუშაობას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **გ. ა. ჯაბუამ** თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ კაპიტალურ დაბანდებათა გეგმის წარმატებით შესრულება სოციალისტური აღწარმოების შემდგომი ზრდისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა.

მიმდინარე შვიდწლედში გათვალისწინებულია დიდი კაპიტალდაბანდებანი რესპუბლიკის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის განვითარებისათვის. მაგალითად, ყოველწლიური კაპიტალური დაბანდებანი წინა წლის ფაქტობრივ შესრულებასთან შედარებით გაიზრდება სულ ცოტა 15-18 პროცენტით. კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა 1962 წელს განსაზღვრულია 308,6 მილიონი მანეთის ოდენობით, მაგ შორის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები — 186,4 მილიონი მანეთისა. ზრდა 1961 წელს ფაქტიურად შესრულებულ მოცულობასთან შედარებით შეადგენს 16,1 პროცენტს.

კაპიტალური სამუშაოების ასეთი მასშტაბის პირობებში, თქვა ამბ. ჯაბუამ, ბუნებრივია, უპირველესი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა ენიჭება მშენებლობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების საკითხებს. საშენ მასალათა წარმოების ყოველმხრივ გაფართოებას.

სამშენებლო ორგანიზაციები საკმაო ენერგიას არ ხარჯავენ კაპიტალურ დაბანდებათა და ახალი სამძლავრეების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის. საკმარისია ითქვას, რომ 1961 წლის კაპიტალდაბანდებათა მოცულობა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საშენ მასალათა მრეწველობის სამმართველოს ბაზით შესრულებულია მხოლოდ 81,2 პროცენტით, ათვისებული არ არის 1,38 მილიონი მანეთი. ამ სახსრებით შეიძლებოდა აგებულ ნენინ 300 ათასი კუბური მეტრი ქვიშის მოპოვების ან 250 ათასი კუბური მეტრი ღორღის გადამუშავების ქარხანა. უნდა გადავლახოთ ჩამორჩენა ეფექტიანი სამშენებლო მასალების სიმძლავრეთა შექმნის საქმეში.

საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოებში, მშენებლობებზე, ამბობს მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშაობა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე **გ. გ. ცხოვრებაშვილი,** — სულ უფრო ფართოდ ჩაიღება სოციალისტური შეჯიბრება პროდუქციის გამომშვების გადიდებისათვის, მისი ხარისხის გაუმჯობესებისათვის, თვითღირებულების შემცირებისათვის. 675 ბრიგადა, რომლებშიც გაერთიანებულია ... ადამიანი, ... ჩაბმული კომუნისტური შრომის დაკვრელთა წოდებისათვის. ეს სპატიო წოდება უკვე მიენიჭა 209 ბრიგადას.

1961 წლის მეოთხე კვარტალის სოციალისტური შეჯიბრების შედეგებით რესპუბლიკის ცემენტის ქარხნის კოლექტივი მიღწეული საუკეთესო საწარმოო მაჩვენებლებისათვის წარდგენილია სრულიად საკავშირო გარდამავალი წითელი დროშის მისანიჭებლად ცემენტის მრეწველობაში. თბილისის კერამიკის კომბინატის კოლექტივი წარდგენილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშის მისანიჭებლად.

ორატორი აღნიშნავს, რომ მიღწეული წარმატებანი ვერ დაფარავენ სერიოზულ ნაკლოვანებებს. მთელი რიგი საწარმოები სისტემატურად ვერ ასრულებენ გეგმას, მათ შორის ნოსირის ბაზის ავურ-კრამატის ქარხანა, აჯამეთის საშენ მასალათა კომბინატი.

ზოგიერთი პროფკავშირული ორგანიზაცია, ამბობს ამბ. ცხოვრებაშვილი, ხშირად გვერდს უვლის შრომის დაცვის წესების, უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის დარღვევებს, არ ცდილობს მიაღწიოს იმ ღონისძიებათა შესრულებას, რომლებიც გათვალისწინებული კოლექტიური ხელშეკრულებით.

ქალაქ რუსთავის საშენ მასალათა მრეწველობის მუშაობას შეეხო საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი **ნ. ა. ებრალიძე.** შარშან საექსპლოატაციოდ გადაეცა წიდა ბამბის ქარხანა, ცემენტ-ქვიშიან კრამიტის საამქრო. გადიდდა ცემენტისა, ასაწყობი რკინა-ბეტონის ნაკეთობათა გამოშვება, შემცირდა თითქმის ყველა სახეობის საშენ მასალათა თვითღირებულება.

ამბ. ებრალიძემ წამოაყენა საკითხი, რომ საჭიროა დაიგეგმოს რუსთავის ცემენტის ქარხანაში უფრო მაღალი მარკის ცემენტის გამოშვება, რომელზეც სულ უფრო დიდ მოთხოვნას იჩენენ მშენებლები, კერძოდ ის მშენებლები, რომლებიც ახორციელებენ რუსთავში „დიდი ქიმიის“ შექმნის გეგმას.

ორატორი შეეხო ამერკავკასიის მეტალურგმშენის ტრუსტის საწარმოთა საქმიანობას.

რუსთავის პარტიული ორგანიზაციის თქვა დასასრულ ამბ. ებრალიძემ, მთელ ძალღონეს ახმარს საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოების მუშაობის გაუმჯობესებას. ამ მუშაობაში ჩაბმული არიან ჩვენი აქტივისტები, პარტიის საქალაქო კომიტეტთან არსებული მშენებლობის შტაბგარეშე განყოფილება, პარტიული კონტროლის კომისიები. ჩვენ გვსახავთ ამოცანას მივაღწიოთ იმას, რომ შვიდწლედის მეოთხე წლის გეგმა მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულოს საშენ მასალათა მრეწველობისა და სამშენებლო ინდუსტრიის ყველა საწარმომ.

თათბირის მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობისა და სამშენებლო ინდუსტრიის ყველა მუშის, ინჟინერ-ტექნიკური და მეცნიერი მუშაკისადმი. პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისადმი.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ გ. ს. ძოწენიძე, დ. გ. სტურუა, ვ. მ. სირაძე, მ. ი. კუპავა, მ. მ. ლელაშვილი, შ. ი. ჭანუყვაძე, ო. ე. ჩერქეზია, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. მ. ლაბახუა. (საქ-დესი).

მუსიკა—ცხოვრების მხარდამხარ

საქართველოს სსრ კომპოზიტორთა III ყრილობა

შემოქმედების სიხარული

ყრილობის მესამე კონცერტმა მსმენელთა დიდი ინტერესი გამოიწვია. შესრულდა ერთ-ერთი გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის ანდრია ბალანჩივაძის მეორე სიმფონია, აგრეთვე ორი სრულიად ახალი ნაწარმოები: პროლოგი არჩილ ჩიმაკაძის მუსიკალურ-დრამატული კომპოზიციიდან „ვეფხისტყაოსანი“ და სულხან ნასიძის მეორე საფორტეპიანო კონცერტი. ყველა ეს მაღალმხატვრული ნაწარმოები ერთხელ კიდევ მოწმობს ქართველ კომპოზიტორთა ფართო შემოქმედებითს დიაპაზონს.

სიმფონიური ჟანრი ქართული მუსიკის ერთ-ერთი წამყვანი ჟანრია. ეროვნული სიმფონიზმის ჩამოყალიბება და განვითარება განუყრელად არის დაკავშირებული ანდრია ბალანჩივაძის სახელთან, რომელმაც ამ ჟანრს თვითმყოფი გზა დაუსახა. მისი პირველი სიმფონია ქართული მუსიკალური ხელოვნების უბადლო ნიმუშია. ამ მონუმენტურ, ფართო ტილოში განზოგადებულად აისახა თანამედროვეობის ტიპიური თვისებები.

მეორე სიმფონია პირველის ძირითად ესთეტიკურ პრინციპებს ავითარებს. იგი გვიტაცებს მხატვრულ სახეთა მრავალფეროვნებით, მისი ლირიკულ - ფსიქოლოგიური სიღრმე ერწყმის დაძაბულ დრამატიზმს, მოქმედების შინაგან დინამიკას.

სიმფონია დრამატურგიული მთლიანობის, აზროვნების სიცხადის, შინაგანი განვითარების ლოგიკურობისა და ეროვნულობის ბრწყინვალე მაგალითია, ეროვნულობის ყველაზე ფართო და მაღალი გაგებით.

ჩინებული კანტატის „ქართლის გულის“ შემდეგ მუსიკალურ-დრამატული კომპოზიცია „ვეფხისტყაოსანი“ ავტორის ყველაზე მნიშვნელოვანი და დიდი ნაწარმოებია.

კონცერტზე შესრულებული პროლოგი ამ დიდი ნაწარმოების მხოლოდ ერთი ნაწილია. მისი მთავარი ღირსებაა მუსიკის რომანტიკული აღმაფრენა და შინაგანი კეთილშობილება, რაც ასე შეესაბამება რუსთაველის უკვდავ ქმნილებას. და მით უფრო სასურველია ეს ნაწარმოები დასრულებული სახით მოვისმინოთ რაც შეიძლება მალე.

სულხან ნასიძის პირველი საფორტეპიანო კონცერტიდან მეორმდე განვლილი გზა ხელოვანის შემოქმედებითი მომწიფების ნაყოფიერი პერიოდია. კომპოზიტორს კვლავინდებურად იზიდავს ახალი ხერხები, მკვეთრი რიტმიკა, კოლორიტული ჟანრული სურათები, ამასთანავე ამ ახალ ნაწარმოებში ყოველივე უფრო გაღრმავებული, გამოკვეთილი და მიზანსწრაფულია. ამასთან უნდა ითქვას, რომ საჭიროა კონცერტის განტვირთვა ჭარბი ხმოვანებისაგან, განსაკუთრებით საორკესტრო პარტიაში.

კონცერტზე სერიოზული შემოქმედებითი დატვირთვა ხვდა წილად სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრს ზ. ხუროძის დირიჟორობით, რომელმაც ესოდენ რთული პროგრამა შეასრულა, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო კაპელას ჯ. კახიძის მხატვრული ხელმძღვანელობით, სოლისტს თ. ამირეჯიბს და მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობს ტ. საყვარელიძეს.

მ. ფიჩხაძე.

ყრილოგის დღიური

უკვე მეხუთე დღეა საქართველოს კომპოზიტორთა ყრილობა მუშაობს განაგრძობს.

გუშინ დილით რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში გაიმართა სიმფონიური კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ახალგაზრდა ქართველმა კომპოზიტორებმა. ყრილობამ მოისმინა რ. ქარუხნიშვილის ზღაპარი ფორტეპიანოსათვის ორკესტრთან ერთად, ნ. მამისაშვილის სიმფონიური აკვარელები და გ. ყანჩელის კონცერტი ორკესტრისათვის.

კონცერტში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის სიმფონიურმა ორკესტრმა ლ. კილაძის დირიჟორობით (სოლისტი კონსერვატორიის დიპლომანტი ნ. მესხი).

საღამოს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში ყრილობის პროგრამიდან წარმოდგენილი იყო შ. მშველიძის ოპერა „დიდოსტატის მარჯვენა“.

დღეს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში დილით წარმოდგენილი იქნება ვ. გოკიელის ოპერა-ზღაპარი „წითელ-ქუდა“ (ლიბრეტო გრ. აბაშიძისა, დირიჟორი ვ. ფალიაშვილი, რეჟისორ-დამდგმელები: გ. გაჩეჩილაძე, უ. დარჩია, მხატვარი ი. ასკურავა), საღამოს — ს. ცინცაძის ბალეტი „დემონი“ (ლიბრეტო და დადგმა ვ. ჭაბუკიანისა, დირიჟორი დ. მირცხულავა, მხატვარი ა. ასკურავა).

მეგობრული შეხვედრები

გასული წლის დეკემბერში თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში პირველად შეხვდნენ ერთმანეთს რუსთაველის მეტალურგიული ქარხნის მოწინავე მუშები და თეატრის კოლექტივი. შეხვედრის მონაწილეებმა ამ საღამოს მოისმინეს ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისი“.

27 იანვარს რუსთაველ მეტალურგთა კულტურის სასახლეში დირექციამ მოაწყო მეგობრული საღამო ოპერისა და ბალეტის თეატრის მსახიობებთან და მეტალურგიული ქარხნის მშრომელებთან ერთად. ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა სახელით მსახიობებს მიესალმა კულტურის სახლის დირექტორი ს. ვაჩნაძე. სიტყვით გამოვიდა ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი დ. მჭედლიძე. მან მსმენელებს მოუთხრო თეატრის მუშაობაზე, ეროვნული კადრების აღზრდასა და იმ მსახიობებზე, რომლებიც ცნობილი არიან არა მარტო ჩვენში, არამედ საზღვარგარეთაც. დასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი. მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ლ. გოცირიძემ, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა მ. ამირანაშვილმა, ტ. მალიშევამ, ნ. ტულუშმა, შ. ვაშალომიძემ და სხვებმა.

30 იანვარს რუსთაველები კვლავ შეხვდნენ თეატრის კოლექტივს საქართველოს კომპოზიტორთა

მუხანათური საქმე
და დასავლეთის ფარისევლური სიფყვა



ვანცხადებენ სსრ კავშირის წარმომადგენლობისა მაერთიანებული ერების ორგანიზაციაში

ნიუ-იორკი, 31 იანვარი. (საკდესი). გუშინ საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გამოაქვეყნა შემდეგი განცხადება:

1962 წლის 25 იანვარს სსრ კავშირის წარმომადგენლობამ ამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საბჭოთა მთავრობის დავალებით სთხოვა სასწრაფოდ მოწვეულიყო უშიშროების საბჭოს სხდომა კონგოს საკითხზე უშიშროების საბჭოს 1961 წლის 24 ნოემბრის რეზოლუციის შესრულების შესახებ საკითხის განსახილველად.

ცნობილია, რომ, თუმცა უშიშროების საბჭოს მიერ აღნიშნული რეზოლუციის მიღების დროიდან ორ თვეზე მეტი გავიდა, მაგრამ ამ რეზოლუციის უმნიშვნელოვანესი მოთხოვნები არ სრულდება გარკვეულ კოლონიურ სახელმწიფოთა აშკარა წინააღმდეგობის გამო, რომლებსაც თავიანთი ინტერესები აქვთ კატანგაში.

უშიშროების საბჭოს მოწვევის საკითხს რომ აყენებდა, საბჭოთა დელეგაცია ემყარებოდა იმას, რომ საჭიროა სწრაფად განიხილონ შექმნილი მდგომარეობის მიზეზები და საბჭომ მიიღოს ღონისძიებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ რაც შეიძლება მალე განდევნონ კატანგიდან ყველა უცხოელი დაქირავებული და აღმოიფხვრას სეპარატისტული საქმიანობა კატანგაში უშიშროების საბჭოს მკაფიოდ ჩამოყალიბებული გადაწყვეტილებებისა და კონგოს რესპუბლიკის ცენტრალური მთავრობის პოლიტიკის შესაბამისად.

თავისი განზრახვის შესახებ — მოეთხოვა უშიშროების საბჭოს მოწვევა — საბჭოთა დელეგაცია თავის დროზე და ჯერ კიდევ მანამ, ვიდრე შესაბამის ფორმალურ თხოვნას გაგზავნიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოში, მოელაპარაკა საკონსულტაციოდ როგორც უშიშროების საბჭოს წევრი აფრიკის ქვეყნების წარმომადგენლებს, ისე გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში კონგოს რესპუბლიკის წარმომადგენელს, აგრეთვე გენერალური მდივნის მოვალეობის აღმასრულებელს უ თანს, ამასთან მათ ამ საკითხზე არავითარი საწინააღმდეგო აზრი არ წამოუყენებიათ.

აღნიშნული კონსულტაციების მსვლელობაში საბჭოთა დელეგაციამ სთხოვა ნიუ-იორკში მყოფ კონგოს რესპუბლიკის წარმომადგენელს სასწრაფოდ ეცნობებინა ეს თავისი მთავრობისათვის და შეეტყობინებინა, რომ საბჭოთა დელეგაცია აყენებს წინადადებას — საბჭო შეიკრიბოს შაბათს, ამა წლის 27 იანვარს.

28 იანვარს საბჭოთა დელეგაციას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოვალეობის აღმასრულებელმა გააცნო კონგოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ადოულას მიერ ლეოპოლდვილიდან გამოგზავნილი დეპეშა, რომელშიც იგი გამოდიოდა უშიშროების საბჭოს მოწვევის წინააღმდეგ, მხედველობაში ჰქონდა უწინარეს ყოვლისა ის გარემოება, რომ თვითონ ემზადება ნიუ-იორკს გამოსამგზავრებლად. როგორც ჩანს, საბჭოს მოწვევის მიზნების შესახებ არასაკმარისმა ან ცალმხრივმა ინფორმაციამ ამ დეპეშის გამოგზავნის საბაბი მისცა.

30 იანვარს უშიშროების საბჭოს სხდომაზე საბჭოთა დელეგაციამ გასაგებად განაცხადა, რომ სასურველად მიაჩნია კონგოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის პირადი მონაწილეობა უშიშროების საბჭოს მუშაობაში, როცა განიხილავენ უშიშროების საბჭოს 24 ნოემბრის რეზოლუციის შესრულების საკითხს, და მხედველობაში აქვს, რომ პირველი სხდომის შემდეგ, სადაც ჩამოყალიბებული იქნება მისი, საბჭოს მოწვევის ინიციატორის, პოზიცია, საბჭოს მუშაობა გადაადება კონგოს პრემიერ-მინისტრის ბატონ ადოულას ნიუ-იორკს ჩამოსვლამდე, რათა მან პირადად მიიღოს მონაწილეობა განხილვასა და საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებაში.

მაგრამ საბჭოს სხდომის მსვლელობამ აშკარად ცხადყო, რომ კოლონიური სახელმწიფოები ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მეთაურობით ყოველი ღონისძიებით ეწინააღმდეგებიან უშიშროების საბჭოს 24 ნოემბრის რეზოლუციის შესრულების შესახებ საკითხის რაიმე განხილვას საბჭოში, რადგანაც ისინი ამჯობინებენ მიაღწიონ თავიანთ მიზნებს კონგოში საბჭოს გარე, ფარული შეთანხმების გზით.

რომ არ დაუშვან საკითხის რაიმე განხილვა, რომელმაც შეიძლება გამოამჟღავნოს მათი ფარული მანევრები კოლონიურ სახელმწიფოთა აგენტურის, უწინარეს ყოვლისა ჩომბეს, ხსნის მიზნით, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლებმა უხეშად დაარღვიეს საბჭოს პროცედურის წესები, რაც დასაჯერებლად იქნა მხილებული სხდომის მსვლელობაში, და დღის წესრიგშიც კი არ იყო განხილული, როცა ჩაშალეს საბჭოს სხდომა.

ამრიგად, ეს სახელმწიფოები სიტყვით მოითხოვენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლის გაძლიერებას, საქმით კი ძირს უთხრიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და მისი უმნიშვნელოვანესი ორგანოს — უშიშროების საბჭოს საქმიანობის საფუძვლებს.

ყოველივე ეს ხორციელდება კონგოში ამ სახელმწიფოთა ანგარებიანი კოლონიური ინტერესებისათვის და საერთო არა აქვს რა კონგოელი ხალხის ინტერესებთან და მის მისწრაფებებთან — დაიცვას კონგოს რესპუბლიკის ერთიანობა, ტერიტორიული მთლიანობა და დამოუკიდებლობა.

საერთაშორისო ცხოვრება
ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ ᲕᲘᲛᲝᲬᲛᲔᲑᲐ

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘ ᲒᲕᲐᲪᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲡ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 31 იანვარი. (საკდესი). ატომური ენერგიის კომისიამ გამოაცხადა, რომ გუშინ ნევადის შტატის საცდელ პოლიგონზე განხორციელდა ახალი მიწისქვეშა ატომური აფეთქება. ეს ატომური იარაღის გამოცდის ახლანდელი სერიის მეთერთმეტე აფეთქებაა, რასაც შეერთებულ შტატებში ახორციელებენ.

ᲗᲐᲑᲐᲜᲐ, 31 იანვარი. (საკდესი). რევოლუციური შეიარაღებული ძალების მებრძოლებმა დაატყვევეს ბრაულიო ამადორა კესადუ — კონტრრევოლუციონერთა იმ ბანდის მეთაური, რომელმაც გასული წლის შემოდგომაზე მოკლა ახალგაზრდა მასწავლებელი მანუელ ასკუნსე და გლეხი პედრო ლანტიგუა.

დაკითხვის დროს კესადამ აჩვენა, რომ იგი და მისი ბანდა მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან და ამერიკელ აგენტებთან, რომლებიც კუბაში მოქმედებდნენ.

რევოლუციურმა ტრიბუნალმა ბანდიტს მიუსაჯა სიკვდილი, განაჩენი მოყვანილია სისრულეში.

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ტოკიოდან იტყობინებიან, 27 იანვარს ამერიკის რეაქტიული ავიაგამანადგურებლის მიერ წარმოშობილმა ტალღამ ჩაამსხვრია მინები და დააზიანა ასზე მეტი სახლი კანაგავას პრეფექტურაში. ფუძისავას, ცუძიდოს, კატასანისა და სხვა დასახლებული პუნქტების მცხოვრებლებმა, რომლებიც იტანჯებიან ამ პრეფექტურაში განლაგებული ამერიკის სამხედრო ბაზებზე დაბანაკებული რეაქტიული თვითმფრინავების გუგუნისაგან მოსთხოვეს ამერიკის სარდლობას, რომ დაუფყოვნებლივ შეწყვიტოს ამერიკის თვითმფრინავების ფრენა.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 30 იანვარი. (საკდესი). ეროვნული ეროვნული ბანკის ნინასწარ პატიმრობას, რადგან სახლს გარშემოვლებული აქვს ეკლიანი მავთული, ხოლო მის ფანჯრებსა და კარებს გისორები აქვს.

გიზენგასთან კვლავ არ უშვებენ ექიმებს, რომელთა მუდმივი მოვლა მას ესაჭიროება.

თავის წერილში გიზენგა მიმართავს ადოულას „როგორც პარლამენტის წევრი, როგორც ადამიანი, რომელიც თავისუფალია თავის მოქმედებაში, და სთხოვს გამოუშვას იგი გალიიდან, რომელშიც ჩასვეს“.

აქ ცნობილი გახდა აგრეთვე, რომ დეპუტატთა პალატის კომისიამ, რომელიც პარლამენტის საქმიანობის საკითხებზე მუშაობს, მთელი რიგი დეპუტატების ინიციატივით მიიღო გადაწყვეტილება შეიტანოს პალატის განსახილველად რეზოლუციის პროექტი, რომელიც მოითხოვს გიზენგას დაუფყოვნებლივ განთავისუფლებას „ბინზას“ სამხედრო ბანაკიდან, რომელსაც მობუტუელი პარაშუტისტები იცავენ.

ᲙᲔᲜᲔᲓᲘᲛ ᲛᲘᲘᲦᲚᲝ Ა. Ი. ᲐᲯᲣᲑᲔᲘ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 30 იანვარი. (საკდესი). დღეს თეთრ სახლში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. კენედიმ მიიღო გაზეთ „იზვესტიის“ მთავარი რედაქტორი ა. ი. აჯუბეი.

საუბრის შემდეგ გაიმართა საუზმე, რომელზეც იყვნენ აგრეთვე თეთრი სახლის მდივანი პრესის საკითხებში პ. სელინჯერი და ჟურნალ „სსრ კავშირის“ რედაქტორი გ. ნ. ბოლშაკოვი.

ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲨᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 30 იანვარი. (საკდესი). ნიუ-იორკის ყველაზე გაცხოველებული არტერიით — მეხუთე ავენიუთი — გუშინ დღისით გაიარა ნიუ-იორკელთა მასობრივმა დემონსტრაციამ, რომლითაც დაიწყო „მშვიდობის დაცვისათვის საყოველთაო გაფიცვის“ კვირეული. კვირეულს აწყობენ ამერიკის შეერთებული შტატების მშვიდობის მომხრეთა გაერთიანებანი. დემონსტრაცია დაიწყო ხანმოკლე მიტინგის შემდეგ, რომელიც გაიმართა სკვერში ცენტრალური პარკის მახლობლად. აქ ათასეული „მშვიდობის ჩიტები“. ოფის საწინააღმდეგო სიმღერებით, მაღლა აწეული პლაკატები — „ჩვენი ერთადერთი თავდაცვაა მშვიდობა!“, „უშიშროება საყოველთაო განიარაღების გზით!“, — დემონსტრანტებმა გაიარეს ქალაქის მთელი ცენტრალური ნაწილი 59-ე ქუჩიდან ვაშინგტონ — სკვერამდე. მშვიდობის დამცველთა კოლონაში მოდიოდნენ სტუდენტები, მასწავლებლები, დიასახლისები.

„მშვიდობის დაცვისათვის საყოველთაო გაფიცვის“ კვირეული 4 თებერვლამდე გასტანს. კვირეულში შედის მიტინგების, დემონსტრაციების მოწყობა, ატომური ენერგიის კომისიის შენობის, სამოქალაქო თავდაცვის საქალაქო სამმართველოს, ამერიკის არმიის შემგროვებელი პუნქტის პიკეტირება. გათვალისწინებულია აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარი ბინისა და სხვა ოფიციალურ შენობათა პიკეტირება.

როგორც აღნიშნულია „მშვიდობის დაცვის გაფიცვის“ მომწყობი კომიტეტის განცხადებაში, მისი მიზანია ცხადყოს უბრალო ამერიკელთა მისწრაფება მშვიდობისადმი, მათი გადაწყვეტილებაა მიიღწიონ ცივი ომისა და გამალებული შეიარაღების პოლიტიკის შეწყვეტის. კომიტეტი შედგება ისეთი ჯგუფებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან, როგორიც არის ამერიკის მშვიდობის დამცველ სტუდენტთა კავშირი, მშვიდობის დაცვის კაკაერთა კომიტეტი, მშვიდობის დაცვის ქალთა ლიგა.

ᲒᲘᲖᲔᲜᲒᲐ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲡ

ᲚᲔᲝᲞᲝᲚᲓᲕᲘᲚᲘ, 30 იანვარი. საკდესის კორესპონდენტი გ. ფედიაშინი იუწყება:

როგორც აქ ცნობილი გახდა, ანტუან გიზენგამ კონგოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ ადოულას გაუგზავნა წერილი, რომელშიც მოითხოვს დაუყოვნებლივ გათავისუფლონ იგი მობუტუელ პარაშუტისტთა ბანაკიდან.

წერილში აღნიშნულია, რომ მისი ყოფნა „ბინზას“ ბანაკში ნიშნავს წინასწარ პატიმრობას, რადგან სახლს გარშემოვლებული აქვს ეკლიანი მავთული, ხოლო მის ფანჯრებსა და კარებს გისორები აქვს.

ᲛᲝᲠᲘᲡ ᲢᲝᲠᲔᲯᲖᲔ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲮᲛᲘᲡ ᲪᲓᲐ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 30 იანვარი. (საკდესი). საფრანგეთის კომპარტიამ გამოაქვეყნა კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია:

„29 იანვარს ღამით საიდუმლო შეიარაღებული ორგანიზაციის წევრი ფაშისტების ჯგუფი შეეცადა შესულიყო პარტიის გენერალური მდივნის ამხანაგ მორის ტორეზის სახლში ბაზენვილში (სენისა და უაზის დეპარტამენტი). პარტიული დაცვის ენერგიულმა მოქმედებამ ხელი შეუშალა ამ ბანდიტებს განეხორციელებინათ თავდასხმა და აიძულა ისინი გაქცეულიყვნენ“.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘ ᲒᲕᲐᲪᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲡ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 31 იანვარი. (საკდესი). ატომური ენერგიის კომისიამ გამოაცხადა, რომ გუშინ ნევადის შტატის საცდელ პოლიგონზე განხორციელდა ახალი მიწისქვეშა ატომური აფეთქება. ეს ატომური იარაღის გამოცდის ახლანდელი სერიის მეთერთმეტე აფეთქებაა, რასაც შეერთებულ შტატებში ახორციელებენ.

ᲗᲐᲑᲐᲜᲐ, 31 იანვარი. (საკდესი). რევოლუციური შეიარაღებული ძალების მებრძოლებმა დაატყვევეს ბრაულიო ამადორა კესადუ — კონტრრევოლუციონერთა იმ ბანდის მეთაური, რომელმაც გასული წლის შემოდგომაზე მოკლა ახალგაზრდა მასწავლებელი მანუელ ასკუნსე და გლეხი პედრო ლანტიგუა.

დაკითხვის დროს კესადამ აჩვენა, რომ იგი და მისი ბანდა მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან და ამერიკელ აგენტებთან, რომლებიც

ᲗᲕᲘᲗᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲔᲑᲘ ᲙᲐᲢᲐᲜᲒᲔᲚᲘ ᲛᲐᲠᲘᲝᲜᲔᲢᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲚᲔᲝᲞᲝᲚᲓᲕᲘᲚᲘ, 30 იანვარი. (საკდესი). როგორც აქ დღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენელმა განაცხადა, გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების შვედმა ჯარისკაცებმა ელიზაბეტვილში ჩვეულებრივი კონტროლის დროს აღმოაჩინეს რკინიგზის ოთხი ვაგონი, რომლებშიც დაშლილი სახით ეწყო სამხედრო თვითმფრინავები.

გარაუდობენ, რომ ეს თვითმფრინავები კატანგის მარიონეტულ მმართველ ჩომბეს გამოუგზავნეს მისმა მფარველებმა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელისუფალნი „აწარმოებენ გამოძიებას“, რათა მიიღონ „უფრო ზუსტი მონაცემები“ ამ თვითმფრინავთა კუთვნილების შესახებ.

ᲠᲔᲞᲠᲔᲡᲘᲔᲑᲘ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 30 იანვარი. (საკდესი). რეპრესიების ტალღა, რომლებიც ბეტანკურის მთავრობამ დაიწყო რვა დღის წინათ ვენსენელი ხალხის წინააღმდეგ, გრძელდება. როგორც პრესა ლატინას საგენტო იუწყება, გუშინ სანავადგური ქალაქ ლა-გუაირაში, კრაკასის ახლოს, დაატყვევეს 148 კაცი. ხელისუფალნი დაატყვევებულთ ბრალად სდებენ განზრახვას, რომ ისინი აპირებდნენ თავდასხმოდნენ საზღვაო ქვეითი ჯარისა და ადგილობრივი პოლიციის ყაზარმებს.

წინასწარი მონაცემებით, ამ რეპრესიების დროს დახოცეს დაახლოებით 80 კაცი. დატყვევებულთა და საპატიმროში მოთავსებულთა საერთო რიცხვი რამდენიმე ათასს აღწევს.

ᲨᲔᲗᲥᲛᲣᲚᲗᲐ ᲓᲐᲞᲐᲢᲘᲛᲠᲔᲑᲐ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 30 იანვარი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი კოლომბოდან იუწყება, დღეს აქ დაატყვევეს ცეილონის არმიის კიდევ 4 მაღალი თანამდებობის ოფიცერი, რომლებიც მონაწილეობდნენ სახელმწიფო გადატრიალების 28 იანვრის წარუმატებელ ცდაში. დატყვევებულთა შორის ერთი პოდპოლკოვნიკი და სამი მაიორია.

კვლავ ეძებენ ცეილონის სამხედრო-საჰაერო ფლოტის ყოფილ სარდალს კონტრ-ადმირალ როის დე მელს, რომელიც აგრეთვე მონაწილეობდა გადატრიალების წარუმატებელ ცდაში.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ «ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ» ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲡ ᲬᲘᲜ

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲒᲐᲠᲘᲥᲠᲐᲥᲖᲔ

ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ „ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝᲡᲗᲕᲘᲡ“ ᲣᲤᲠᲝᲡ ᲛᲬᲠᲗᲜᲔᲚᲘ Ვ. ᲠᲐᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘᲗᲐᲜ

ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ მოახლოება განსაკუთრებით ახარებთ ფეხბურთის გულშემატკივრებს. მართლაც რაოდენ დიდი, მრავალფეროვანი და მიმზიდველი იქნება ახალი სპორტული სეზონი! ამა გავიხსენოთ — „16 ჩილელის“ დუელი ამერიკაში, სანტ-იაგოში, ვინნიპეგ-მარსა და რანკაგუაში, ჩვენი ქვეყნის პირველობისა და თასის გათამაშება თავის სიახლეებით, აუარაოდენი საერთაშორისო შეხვედრები, საკავშირო მნიშვნელობის არაერთი ასპარეზობა და სხვ.

და ყველაფერი ეს თითქმის ერთდროულად, მაისიდან იწყება. ერთდროულად ჩაებმებიან ბრძოლაში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებიც — თბილისის „დინამოსა“ და ქუთაისის „ტორპედოს“, საქართველოს „ბ“ კლასის გუნდები.

უძლიერესთა პაექრობაში არ შეიძლება ინტერესს მოკლებული იყოს „ა“ კლასის დებიუტანტის — ქუთაისის „ტორპედოს“ გამოსვლა. ბევრს უთუოდ აინტერესებს, როგორ ემზადებიან ქუთაისელი ფეხბურთელები ჩემპიონატისათვის, რა სიახლეებია გუნდში, როგორია მათი გეგმები.

ამასთან დაკავშირებით რედაქციამ მოიწვია „ტორპედოს“ მთავარი მწვრთნელი ვ. რამიშვილი და სთხოვა მას ჩვენი მკითხველებისათვის მოეთხრო ამ საკითხებზე.

— რესპუბლიკის სპორტულ ცხოვრებაში — გვიამბობს ვ. რამიშვილი, — „ა“ კლასში ორი გუნდით გამოსვლა უთუოდ დიდი მოვლენაა. შეიძლება ითქვას, რომ აქ თითქოს ახალი არაფერია. თბილისის „დინამოსთან“ ერთად „ა“ კლასში ხომ ადრეც გამოდიოდნენ „ლოკომოტივისა“ და „სპარტაკის“ გუნდები, მაგრამ საქმე ის არის, რომ ვერც ერთმა მათგანმა ფეხი ვერ მოიკიდა, დატოვა უძლიერესთა რიგები. ეს ნაწილობრივ იმითაც იყო გამოწვეული, რომ ახალბედა გუნდებიდან დინამოელთა რიგებში გადაპყავდათ საუკეთესონი, რაც იწვევდა ამ გუნდების გამოფიტვას.

საქართველოს მეორე ინდუსტრიულ ცენტრში, სპორტის დიდი ტრადიციის ქალაქ ქუთაისში „ა“ კლასის გუნდის „გამოჩენამ“ რესპუბლიკის ფეხბურთის ამაღლებაში გარკვეული როლი უნდა შეასრულოს. პირველობის მატჩები ეჭვგარეშეა კიდევ უფრო გაზრდის ინტერესს სპორტის ამ პოპულარული სახეობისადმი, უფრო მახლობრივს გახდის მას.

თუ როგორი იყო ტორპედოელთა გზა „ა“ კლასისაკენ, ფეხბურთის მოყვარულებმა კარგად იციან. ეს მართლაც მომქანცველი, ძნელი გზა იყო. ყველაზე უფრო მახსენდება კიბინოვის ტურნირი, რომლის სტარტი ჩვენი რესპუბლიკის გუნდების სასარგებლოდ არაფერს მეტყველებდა. სწორედ აქ იჩინა თავი კოლექტივის სიმტკიცემ, ძალთა მობილიზაციამ, ერთსულოვნებამ, — და აი ქუთაისის „ტორპედოს“ უძლიერესთა რიგებში ვხედავთ.

ᲡᲢᲝᲙᲰᲝᲚᲜᲘ. 31 იანვარი. საზონთაშორისო ტურნირზე სსრ კავშირის მოჭადრაკეთა დელეგაციის ხელმძღვანელმა ოსტატმა ლ. აბრამოვმა, რომელიც ჩვენი სპეციალური კორესპონდენტია, ტელეფონით გვაცნობა:

ტურნირის სტარტის მოულოდნელმა შედეგებმა ბრძოლაში მეტი სიმწვავე შეიტანა. ამიტომ იყო, რომ მესამე ტურის თითქმის ყველა პარტიაში იგრძნობოდა შეუპოვარი და გაბედული თამაში.



საბჭოთა გროსმაისტერი ვ. კორჩნოი, რომელმაც სტარტზე ორი შესაძლებლიდან მხოლოდ ნახევარი ქულა ჩაიწერა აქტივში, მესამე ტურში წარმატებით იბრძოდა ისლანდიელი გროსმაისტერის ფ. ოლაფსონის წინააღმდეგ და დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა, ორი საბჭოთა მოჭადრაკის გროსმაისტერ ე. გელერისა და ოსტატ ლ. შტეინის პარტიაში იგრძნობოდა ე. გელერის ინიციატივანი თამაში და შეხვედრაც მისივე გამარჯვებით დამთავრდა.

როგორც ცნობილია, საზონთაშორისო ტურნირის სტარტზე კოლუმბიელმა ოსტატმა მ. კუელარმა ზედიზედ ორი გამარჯვება მოიპოვა და ჩეხოსლოვაკიელ გროსმაისტერ მ. ფილიპთან ერთად ლიდერი გახდა. მაგრამ მესამე ტურში მთავარ მეტოქესთან მ. ფილიპთან პარტიაში მან პირველი დამარცხება განიცადა.

ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონი რ. ფიშერი წარმატებით იბრძოდა ინდოელი ოსტატის მ. აარონის წინააღმდეგ და პირველი გამარჯვება მოიპოვა. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გროსმაისტერმა ვ. ულმანმა მოუგო ს. შვებერს (არგენტინა, ოსტატი).

მ. ბერტოკ (იუგოსლავია, ოსტატი) - ა. იანოვსკის (კანადა, ოსტატი), ი. ტეშნერ (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ოსტატი)-ს. გლეგორიჩის (იუგოსლავია, გროსმაისტერი), ბ. ბენკო (ამერიკის შეერთებული შტატები, გროსმაისტერი) - ა. პომარის (ესპანეთი, ოსტატი) და ი. ბილეკ (უნგრეთი, ოსტატი)-გ. ბარცას (უნგრეთი, გროსმაისტერი) პარტიები ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ᲡᲢᲝᲙᲰᲝᲚᲜᲘ, 1 თებერვალი. ჩვენმა სპეციალურმა კორესპონდენტმა ოსტატმა ლ. **აბრამოვმა** დღეს გვიან ღამით ტელეფონით გვაცნობა:

იანოვსკიმ მოუგო ულმანს, შვებერმა — ტეშნერს, პომარმა — აარონს. პეტროსიან-გელერის, ოლაფსონ-ფილიპის, გერმან-ბერტოკის, გლეგორიჩ-ბენკოსა და ბისჰაიერ-ბილეკის პარტიები ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ოთხი ტურის შემდეგ ლიდერია ფილიპი, რომელსაც 3,5 ქულა აქვს.

ᲡᲢᲝᲙᲰᲝᲚᲜᲘᲓᲐᲜ ᲒᲕᲐᲪᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲔᲜ

ᲝᲗᲮᲘ ᲢᲣᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

ᲠᲘᲒᲐ. 31 იანვარი. (ტელეფონით სპეც. კორ.). გაიმართა ქალთა საშაბადაკო ჩემპიონატის მე-14 ტური.

ბორისენკომ დაამარცხა რანიკუ, კუშნირმა — კოზლოვსკაია, ზატულოვსკაიამ — ვოიცეკი, იაკირმა — კაცკოვა, ლიაპუნოვამ — სემიონოვა. როოტარე - ტოგონიძის, შადურა - ზვორიკინასა და ბიმარდ - ვოლპერტის პარტიები ყაიმით დამთავრდა. 2 პარტია გადაიდო.

14 ტურის შემდეგ ბორისენკოსა და კუშნირს ათ-ათი ქულა აქვთ, ზატულოვსკაიას — 9,5 ქულა, როოტარეს — 9 ქულა, ტოგონიძეს — 8,5 ქულა და 1 გადადებული პარტია.

1 თებერვალს შედგება მე-15 ტური, სადაც ცენტრალურ პარტიას წარმოადგენს ბორისენკოსა და კუშნირის შეხვედრა.

ᲡᲐᲥᲐᲓᲠᲘᲡᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲜᲔᲑᲡ

ᲞᲠᲐᲰᲐ, 30 იანვარი. (საკდესი). ევროპის მაგდის ჩოგბურთის კავშირის სხდომაზე, რომელიც აქ გაიმართა, განიხილეს საკითხი კონტინენტის მომავალი პირველობის მოწყობის ადგილის შესახებ. როგორც ცნობილია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მაგდის ჩოგბურთის კავშირმა, რომელსაც დავალებული აქვს ევროპის ჩემპიონატის მოწყობა, შეჯიბრების ადგილად აირჩია დასავლეთ ბერლინი, რომელიც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორია როდია. ამ არჩევანს აქვს აშკარა პროვოკაციული ხასიათი. დასავლეთ გერმანიის კავშირის მოქმედებამ მაგდის ჩოგბურთის მთელი რიგი ეროვნული ფედერაციების პროტესტები გამოიწვია.

ევროპის მაგდის ჩოგბურთის კავშირის თავმჯდომარემ ი. ვანდურეკმა (ჩეხოსლოვაკია) ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა საagენტოს კორესპონდენტს აცნობა, რომ, მიუხედავად მისი და უნგრეთის წარმომადგენლის გ. ლაკატოშის საწინააღმდეგო მოსაზრებებისა, კაპიტალისტური ქვეყნების წარმომადგენლებმა ხმის უმრავლესობით მხარი დაუჭირეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მაგდის ჩოგბურთის კავშირის არჩევას.

„ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენები არ წავლენ ჩემპიონატზე დასავლეთ ბერლინში“, — განაცხადა ი. ვანდურეკმა. უნგრეთის დელეგატმა გ. ლაკატოშმა თქვა: „უნგრეთის მაგდის ჩოგბურთის სექცია არ მიიღებს მონაწილეობას დასავლეთ ბერლინის ჩემპიონატში“.

კონტინენტის ჩემპიონების — უნგრელი სპორტსმენების, აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის ჩოგბურთელების პოზიცია ეროსნელ კიდევ მოწმობს იმათი მოქმედების უგულურობას, ვისაც სურს სპორტული მოძრაობა პოლიტიკური მიზნებისათვის გამოიყენოს. ევროპის მაგდის ჩოგბურთის კავშირის ზოგიერთმა მოღვაწემ უნდა გაითვალისწინოს, რომ ევროპის უძლიერესი გუნდების მონაწილეობის მიუღებლად ჩემპიონატი არ ჩაითვლება კონტინენტის პირველობად.

„თუ ევროპის უძლიერესი გუნდები — უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიისა და სხვა ქვეყნების კოლექტივები მონაწილეობას არ მიიღებენ დასავლეთ ბერლინის მომავალ ჩემპიონატში, — ნათქვამია ლონდონიდან მიღებულ დეპეშაში, — იგი ფარსად გადაიქცევა“. ეს ინგლისის მაგდის ჩოგბურთის ასოციაციის მდივნის ბ. ლოუენის სიტყვებია. მან განაცხადა, რომ უახლოეს დღეებში ასოციაცია განიხილავს საკითხს ინგლისელ ჩოგბურთელთა შესაძლო უარისთქმაზე მონაწილეობა მიიღონ ევროპის ჩემპიონატში.

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ

Д. ᲛᲔᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲐᲦᲬᲔᲠᲐ: ტორპედოელთა ᲗᲐᲠᲯᲘᲜᲘ. ფოტო მ. ზარგარიანისა.

ᲛᲣᲰᲐᲜᲐᲗᲣᲠᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲠᲘᲡᲔᲕᲚᲣᲠᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ



ᲓᲣᲜᲐᲘᲡ ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲘ

ᲑᲣᲓᲐ�პᲔᲨᲢᲘ ევროპის ერთ-ერთი უძველესი და ულამაზესი ქალაქია. ცნობილია მისი შესანიშნავი ისტორიული ძეგლები, არქიტექტურული და სამუზეიმო ღირსშესანიშნაობანი, მდიდარი კულტურა და უპირველეს ყოვლისა უნგრელი ხალხის წრფელი სტუმართმოყვარეობა.

ბუდაპეშტი — უნგრეთის დემოკრატიული რესპუბლიკის უმშვენიერესი დედაქალაქი გაშენებულია მდინარე დუნაის ორივე ნაპირზე. ტუუილად როდი უწოდებენ ევროპის ხალხები მას „დუნაის დედოფალს“.

დღეს ეს დიდი ტრადიციებისა და მდიდარი ხელოვნების ქალაქი ქმნის უძველესი და თანამედროვე კულტურის თავისებურ შერწყმას. ძველი საფაბრიკო კორპუსების გვერდით აღმართულია ახალი მძლავრი სამრეწველო გიგანტები, ხოლო მუშათა განაპირა უბნების ქოხმახების ნაცვლად აშენებულია და შენდება ახალი მრავალსართულიანი კომფორტული საცხოვრებელი სახლები.

ყოველივე ეს ნაყოფია სოციალისტური საზოგადოების მშენებელი უნგრელი ხალხის შემოქმედებითი შრომისა, რომელიც დღეს აღნიშნავს თავისი სამშობლოს დამოუკიდებლობის 16 წლისთავს.

**ᲡᲣᲠ